ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო
პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
10 ივლისი ოთხშაბათი 2013
№160 (14 076) ფასი 80 თეთრი

# აი, რას ნიშნავს კობი გერმანელებისთვის!

## საქართველოს ნაკრებისთვის?

ბერლინის „ჰერტას“ დიდი არჩევანი აქვს, მაგრამ დიდ იმედს ამყარებს 36 წლის ლევან კობიაშვილზე...

...საქართველოს ნაკრებს ევროპის ტოპ-ლიგებიდან ფეხბურთელები ასარჩევად არ ჰყავს, მაგრამ მაინც არ იწვევენ ლევან კობიაშვილს.

გამოცემა „ბზ-ბერლინში“ ცალკე სტატია მიეძღვნა „ჰერტას“ მწვრთნელის ჯოს ლუჰუკაის გამონათქვამებს კობიაშვილზე.

- კობისთან მუშაობა დიდი სიამოვნებაა. მას ასაკი არ ეტყობა, ისევე ენერგიულია, როგორც თინეიჯერი ფეხბურთელი. არადა, კობიაშვილი თანაგუნდელ ჰანი მუხტარზე 18 წლით უფროსია.

მწვრთნელი არ ცხრება:

- ლევანი მაღალი დონის პროფესიონალია, ნებისმიერისთვის მისაბაძი მაგალითია. მოხარული ვარ, რომ ბუნდესლიგაში მასთან ერთად დავბრუნდი. ასაკის მიუხედავად მომავალ სეზონში კობისგან ბევრს ველი.



# ჩემპიონთა ლიგას კუნძულიდან ვიწყებთ

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი
**16 ივლისი, 20:00. თბილისი. დინამო არენა**

## დინამო-სტრეიმური
(თბილისი) (ფარერები)

გუშინ ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩები გაიმართა, საიდანაც ერთ-ერთი ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა - ფარერული "სტრეიმურისა" და ანდორული "ლუსიტანსის" დაპირისპირებაში თბილისის "დინამოს" მეტოქე ირკვეოდა. პირველი შეხვედრა ანდორაში ფრედ, 2:2 დასრულდა, გუშინ კი "სტრეიმურმა", რომელიც წყვილის ფავორიტად მიიჩნეოდა, ეს სტატუსი სრულად დაამტკიცა – მეტოქე 5:1 გაანადგურა და საქართველოს ჩემპიონთან შეხვედრის უფლება მოიპოვა.

**სტრეიმური (ფარერის კუნძულები)–ლუსიტანსი (ანდორა) 5:1**

1:0 ა. ჰანსენი (3), 2:0 ლ. ჰანსენი (38), 2:1 რეისი (66), 3:1 ზახარიასენი (72), 4:1 ლ. ჰანსენი (85), 5:1 ნიკლასენი (90)

სტრეიმური: ტორგარდი – დურჰუუსი, ბო, დავიდსენი, ნილსენი – იაკობსენი (69. ზახარიასენი; 88. ოლსენი) – ლ. ჰანსენი, ნიკლასენი, სამუელსენი, დამი – ა. ჰანსენი (72. დანიელსენი)

ლევან ჯანეზაშვილი

# ათეული ცნობილია ვინ იქნება ის ერთი?

7

ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი



U 20. ევროპის ჩემპიონატი

10




# ახალგაზრდებმა ლენტი გაჭრეს, გერმანია ვერა

# სერბი მწვრთნელი იმერეთში?

გეგუჩაძე გამოირიცხა, ზესტაფონს რატკო დოსტანიჩი გაწვრთნის?



3

LFP

# კლასიკო ოქტომბრის ბოლოს

ესპანეთის ჩემპიონატის კალენდარი

6

წარმოგიდგენთ 19-წლამდელებს

## სანდრო გურეშიძე

# ბელგიაში მივხვდით, ფული ყველაფერს არ წყვეტს



**თბილისის** "დინამოს" ავსტრიულ შეკრებაზე მწვრთნელმა 18 წლის მცველები - **ალექსანდრე გურეშიძე** და **ოთარ კაკაბაძე** წაიყვანა. ეს მთავარ გუნდთან ერთად მათთვის პირველი შეკრება იყო.

თბილისში დაბრუნების შემდეგ, გურეშიძე საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს შეუერთდა, რომელიც ახლა ლატვიაში ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპისთვის ემზადება. სხვათა შორის, სანდრო გასულ წელს ევროფორუმზე **ვასილ მაისურაძის** 17-წლამდელთა ნაკრების განაცხადშიც იყო.

### ჰუფნაგელის ნაცვლად

19-წლამდელებში შემთხვევის წყალობით მოვხვდი. ელიტრაუნდამდელ შეკრებაზე არ ვყოფილვარ. მაგრამ ლუკა ჰუფნაგელი დაშავდა და გია ცეცაძემ მის ნაცვლად გამომიძახა. ბელგიაში სასწრაფოდ გავემგზავრე და ვესტერლოში 21 მაისს ჩავედი, როდესაც 24 მაისს ინგლისთან პირველი შეხვედრა გვქონდა. გუნდში შედარებით უცხო ვიყავი და შესაგუებლად დრო დამჭირდა.

მხოლოდ ორი შეხვედრა ვითამაშე, შოტლანდიასთან და ბელგიასთან, მაგრამ ასეთი სიხარული არასოდეს განმიცდია. სხვათა შორის, ბევრი მოთამაშე დისკვალიფიცირებული რომ გვყავდა, ბელგიასთან შეხვედრისას წინახაზელებიდან სათადარიგოებში მხოლოდ მე ვიჯექი.

### ევრიკა — შეგვძლებია

ამ შეხვედრებმა და ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრამ აზროვნება და მიზნები სრულიად შემიცვალა. ჩვენი პრობლემა არა იმდენად ფინანსური ყოფილა, არამედ ის, რომ თავდაჯერებულობა გვაკლდა — 19-წლამდელები ევროპის ჩემპიონატზე კლასის და საკუთარი ძალების რწმენის ხარჯზე გავედით. გია ცეცაძემ შთაგვაგონა, რომ თამაში შეგვეძლო და მუდამ პრესინგსა და შეტევას ითხოვდა. სხვათა შორის, ძალიან გამიკვირდა, რომ ჩვენს პრესინგს ვერავინ უძლებდა.

საერთოდ, მათთვის მოულოდნელი ფეხბურთი ვაჩვენეთ — ალბათ, ელოდნენ, რომ სადღაც, ევროპის ბოლოში მდებარე ქვეყნის ნაკრები, რომელსაც არასოდეს არაფრისთვის მიუღწევია, აუტსაიდერი იქნებოდა და დაცვაში ჩაჯდებოდა. ამის ნაცვლად, აგრესიულად შევუტიეთ, რაც მეტოქეებისთვის დიდი მოულოდნელობა აღმოჩნდა. ყოველ შემთხვევაში, ასე მგონია, ისინი ამან დააბნია. ინგლისელები მოედანზე იცით, როგორ გამოვიდნენ? თითქოს, 3 ქულა უკვე გარანტირებული ჰქონდათ და როდესაც გამოფხიზლდნენ, უკვე გვიანი იყო.

ბელგიაში ტურნირი რომ დასრულდა, ერთში დავრწმუნდით: მიუხედავად იმისა, რომ ინგლისელებს, შოტლანდიელებსა და ბელგიელებს პირობებით ვერ შევედრებით, ქართველებს მათზე ნაკლები ფეხბურთის თამაში არ შეგვძლებია — ფული ყველაფერს არ წყვეტს. ამან ბიჭებს ძალიან დიდი სიამაყის გრძნობა მოგვანიჭა.

### ბუბადან ბუბამდე

ფეხბურთი ბავშვობიდან მიყვარდა და გული სულ სტადიონისკენ მიმიწევდა. 5 წლის გავხდი, მამამ საფეხბურთო სკოლა "ირაოში" რომ შემიყვანა. იქ ჩემი მწვრთნელები ლევან ანდღულაძე და თამაზ ოდიშელიძე იყვნენ. მაგრამ თავიდან, რაც უნდა გაგიკვირდეთ, ბუბა ტყავაძესთან ვვარჯიშობდი — "დინამოს" დღევანდელი სპორტული დირექტორი მაშინ მწვრთნელი იყო და კარგად მახსოვს, ბავშვებს მასთან ვარჯიში გვიხაროდა. ისეთი რაღაცები გვასწავლა, რაც შემდეგ მაგრად დამეხმარა.

"ირაოდან" 12 წლისა თენგიზ დოლიძესთან "ვიტ ჯორჯიაში" გადავედი, 2010 წელს კი - "დინამოს" აკადემიაში, სადაც ყველაფერი საჩემოდ აეწყო: ჯერ კახა გოგოლაძემ ჭაბუკთა გუნდში მათამაშა, მერე ვასიკო მაისურაძემ - დუბლშემადგენლობაში, ბოლოს კი – რამაზ მუმლაძემ - "დინამო 2"-ში.



**დოსიე**

**სანდრო გურეშიძე**

დაიბადა 1995 წლის 23 აპრილს თბილისში (18 წლის)
სიმაღლე – 188 სმ; წონა – 80 კგ
პოზიცია – ცენტრალური მცველი
კლუბი – თბილისის "დინამო"

**სანაკრებო დებიუტი**
ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის ელიტრაუნდი.
31.03.12: უკრაინა 0:1 საქართველო

**სანაკრებო კარიერა**
U-17 – 1 მატჩი, 0 გოლი; U-19 – 2 მატჩი, 0 გოლი

**საკლუბო კარიერა**
2011 - თბილისის "დინამო - დუბლები"
2012-2013 – თბილისის "დინამო 2" - 16 მატჩი, 2 გოლი
2013 – თბილისის "დინამო"

აქედან წლეულს დუშან უჰრინმა ძირითადში გადამიყვანა და ავსტრიაში "დინამოსთან" პირველი შეკრება გავიარე - ფეხბურთელები, მწვრთნელები, გუნდის ყველა წევრი მამხნევებდნენ. თანაგუნდელებს ვაკვირდებოდი და ამ გამოცდილი ფეხბურთელების გვერდით ბევრი რამ ვისწავლე და ფიზიკურადაც კარგად მოვემზადე.

ეს ჩემთვის უბედნიერესი ამბავია. "დინამოში" მოხვედრას ხომ ნებისმიერი 18 წლის ქართველი ფეხბურთელი ოცნებობს. ძალიან მინდა, რომ ბევრი ვიშრომო, ძირითადში მოხვედრა დავიმსახურო და "დინამოს" ფორმა მოვირგო.

ახლა შანსი მომეცა, კარიერა რომ ავიწყო. ეს შესაძლებლობა კი ხელიდან არ უნდა გავუშვა.

ლეგიონერები

## ოქრიაშვილი: ერთი წლით კვლავ ილიჩივეცში

**თორნიკე ოქრიაშვილი** იმედოვნებდა, რომ კარიერას ოდესის "ჩერნომორეცში" გააგრძელებდა. ამის შესახებ უკრაინული მედია იუწყებოდა, თითქოს ამ ტრანსფერის ბედი გადაწყვეტილი იყო და ოქრიაშვილმა მარიუპოლელთა რიგები უკვე დატოვა.

საუბარი იყო დონეცკის "შახტარიდან" მის მორიგ იჯარაზე - ქართველი ლეგიონერის სატრანსფერო უფლებები 2016 წლამდე დონბასელებს ეკუთვნით. ასეთივე წესით არის გაშვებული ოქრიაშვილი მარიუპოლის "ილიჩივეცში", სადაც ორი სეზონი უკვე ჩაატარა.

"ჩერნომორეცში" იმედოვნებდნენ, რომ საქართველოს ნაკრების შემტევი ნახევარმცველი დნეპროპეტროვსკის "დნიპროში" გადასულ **სერგეი პოლიტილოს** შეცვლიდა. იქვე აღნიშნეს, რომ ოქრიაშვილის წაყვანა "სევასტოპოლსაც" სურდა.

შევიტყვეთ, რომ მოლაპარაკება მართლაც მიმდინარეობდა და საქართველოს ეროვნული ნაკრების ნახევარმცველსაც სურდა, გაცილებით დიდი ტრადიციების, ტიტულებისა და ამბიციების მქონე კლუბის ფორმის მორგება. თანაც, წლეულს ოდესელები ევროპის ლიგაზე ითამაშებენ, დღეს კი "შახტარს" უკრაინის სუპერთასს შეეცილებიან. ცხადია, ასეთ კლუბში თავის გამოჩენის მეტი შანსი ექნებოდა. გარდა ამისა, მარიუპოლში ცხოვრებაც აღარ სურდა, ოდესა გაცილებით მიმზიდველი და სუფთა ქალაქია.

მაგრამ დონეცკელებმა ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს. თავის მხრივ, "ილიჩივეცის" მთავარმა მწვრთნელმა **ნიკოლაი პავლოვმაც** თავი გამოიდო – მარიუპოლელები დონეცკელთა პარტნიორები არიან, ოდესელებთან ასეთი თანამშრომლობა არ აკავშირებთო და თორნიკე "ჩერნომორეცში" არ გაუშვეს.

ახლა მხოლოდ ისაა საკითხავი, რა ხნით ითამაშებს ოქრიაშვილი "ილიჩივეცში" – წინასწარი შეთანხმებით, დონეცკელები ახალ ერთწლიან იჯარას გააფორმებენ. თუმცა ფერნანდინიოსა და ჰენრიხ მხითარიანის გაყიდვის შემდეგ „მეშახტეები" დარწმუნებულები არ არიან, რომ მათ სრულფასოვანი შემცვლელები მოუძებნეს და თუ ახალი სისხლი დასჭირდათ, შესაძლოა, მეორე წრეში ოქრიაშვილი დაიმატონ.

თუმცა, ეს ჯერ მხოლოდ ვერსიაა, რეალურად კი ოქრიაშვილი ისევ "ილიჩივეცშია" და ახალ სეზონსაც მარიუპოლში დაიწყებს.

ევროპის ლიგა. საკვალიფიკაციო ეტაპი

# ჩიხურა ლიხტენშტეინში ემზადება

ხვალ, 11 ივლისს საჩხერეს "ჩიხურა" ევროპის ლიგის განმეორებით შეხვედრაში "რეინპარკზე" "ვადუცს" დაუპირისპირდება.

საქართველოს თასის ფინალისტი ლიხტენშტეინში ორშაბათს გაემგზავრა და უკვე ადგილზე ვარჯიშობს. გუნდის მთავარი მწვრთნელი **სოსო ფრუიძე** იმედოვნებს, რომ შვეიცარიის ჩელენჯლიგის აუტსაიდერს სტუმრად მაინც მოუგებენ.

ევროპის ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩი საჩხერის „ჩიხურასა" და ლიხტენშტეინის „ვადუცს" შორის „მიხეილ მესხის" სახელობის სტადიონზე 0:0 დასრულდა. ასე რომ, შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი ორივე გუნდმა შეინარჩუნა.



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

U19

# ნაკრები 12 ივლისს შეივსება

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ლატვიურ შეკრებაზე ორჯერად ვარჯიშებზეა გადასული. 10 ივლისს, ნაკრების მთავარი მწვრთნელი **გია ცეცაძე** მოთამაშეებს მხოლოდ საღამოს ავარჯიშებს, 11 ივლისს კი, გუნდს რიგის "სკონტოს" დუბლშემადგენლობასთან ტესტ-მატჩი დაუგეგმეს.

ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, ამის შემდეგ, ჩვენი დელეგაცია რიგაში ევროპალიგის მატჩს დაესწრება, რათა "სკონტოს" მცველი **ლაშა დვალი** გაამხნევონ. ის გუნდს 12 ივლისს შეუერთდება, ისევე როგორც **ნიკა სანდოხაძე** და **ნიკა ჭანტურია** - ნაკრების მცველებს ქუთაისის "ტორპედოც" ევროპის ლიგის მატჩების შემდეგ გაუშვებს.

უკვე გუნდშია რუბინის „ყაზანის" ქართველი ფორვარდი - **ნიკა კაჭარავა.** 19-წლამდელთა ფორვარდმა კომენტარი გააკეთა: *"ერთი სული მქონდა, როდის წამოვიდოდი. ნაკრებთან ერთად ყოფნა მინდოდა. ჩემს ფრანგ თანაგუნდელს, იან მვილას შევპირდი, თქვენების კარში გოლს გავიტან-მეთქი და ძალიან მინდა, ნათქვამი შევასრულო".*

12 ივლისიდან ორჯერადი ვარჯიშები განახლდება. აქვე ვიტყვით, რომ შესაძლოა, ნაკრებმა საკონტროლო შეხვედრა 16 ივლისსაც ჩაატაროს. ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკური დირექტორის, **ნიკა ჩხეიძის** თქმით, მოლაპარაკება ლატვიის 19-წლამდელთა ნაკრებთან მიმდინარეობდა, მაგრამ ეს საკითხი ჯერ კიდევ დასაზუსტებელია.

საღამოს ვარჯიშზე მოთამაშეთა მდგომარეობით გია ცეცაძე კმაყოფილი დარჩა. მისი თქმით, ეს "ნამდვილი" ვარჯიშის 70 პროცენტი იყო, თუმცა გუნდი დღითი დღე უმატებს.

იმავეს ამბობს ნაკრების ფიზმომზადების მწვრთნელი **თემურ ლორთქიფანიძეც**, რომელსაც ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურმა ფეხბურთელების ფიზმომზადებაზე კომენტარი ჩამოართვა.

*"მოთამაშეებმა მზადების პირველი ეტაპი კლუბებში გაიარეს და გარკვეულ კონდიციებში იყვნენ. გუშინ, საღამოს, გამძლეობის ტესტი ჩავატარეთ - ე.წ. "სათამაშო ვარჯიში" და ვნახეთ, რომ ბიჭები უკვე საკმაოდ კარგ დონეზე არიან. ამას მათი პულსი და გულისცემის სიხშირე ადასტურებს. დღევანდელ დილის ვარჯიშზე კი, რეაქტიულ ძალაზე ვიმუშავეთ, ანუ დატვირთვა გაიზარდა და შემიძლია გითხრათ, რომ ფეხბურთელებმა თავი კარგად წარმოაჩინეს. ასე ნელ-ნელა წინ წავალთ და ევროპის ჩემპიონატამდე სასურველ კონდიციებში მივალთ. დატვირთვები აღარ მოიმატებს, რადგან ტურნირამდე მცირე დროა დარჩენილი და მერე ფიზიკური შესაძლებლობების ვარდნა იწყებახოლმე. ამიტომ, ვარჯიშები ზომიერი და დაბალანსებული იქნება.*

*პრობლემა არც იმ ფეხბურთელებს შეექმნებათ, რომლებიც ნაკრებს გვიან შემოუერთდებიან. ჭანტურია და სანდოხაძე ევროპალიგაზე ითამაშებენ, ნიკა კაჭარავა კი, "რუბინს" შეკრებაზე ახლდა და ამხანაგური თამაშები ჩაატარა. ანუ, ნაკრებში მოუმზადებელი არავინაა. მთავარი ფსიქოლოგიური მომენტია, თუ როგორი განწყობით ჩამოვლენ. გუნდის დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემპიონატის დაწყებას ფეხბურთელები კარგი ფიზიკური კონდიციებით შეხვდებიან"* – ამბობს ლორთქიფანიძე.

აქვე ვიტყვით, რომ "საზოგადოებრივ მაუწყებელზე" უკვე გავიდა სფფ-ის პროექტის, "19-წლამდელთა საფეხბურთო დღიურის" პირველი გადაცემა – მისი ნახვა შეგიძლიათ ყოველ სამუშაო დღეს, საღამოს 23 საათზე.

რაც შეეხება ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მატჩების ტელერეპორტაჟებს: სავარაუდოდ, მას "საზოგადოებრივ მაუწყებელზე" ვერ ვიხილავთ. პირდაპირი რეპორტაჟების უფლება "ევროსპორტს" აქვს, რომელმაც 145 ათასი ევრო მოითხოვა, თითქმის იმდენივე, რასაც უეფას ჩემპიონთა ლიგის მთელ სეზონში უხდიან და "საზმაუსთვის" ასეთი შეუსაბამო ფასები მიუღებელი აღმოჩნდა.

თუმცა, ჯერ მაინც ნუ ვიჩქარებთ – ვინ იცის, რა შეიცვლება.

**მერაბ მამულაშვილი**



19-წლამდელები რიგაში ნაყოფიერად ემზადებიან

ზესტაფონი



რატკო დოსტანიჩი

# ფეროელები შეიძლება დოსტანიჩმა ჩაიბაროს

## გია გეგუჩაძე გამოირიცხა

როგორც შევიტყვეთ, "ზესტაფონი" აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს სერბ სპეციალისტ **რატკო დოსტანიჩთან**. 53 წლის მწვრთნელი უკვე იმყოფებოდა საქართველოში და კლუბის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებათა პირველი რაუნდი გამართა. ზესტაფონში მან კლუბის სტადიონი და საწვრთნელი ბაზა მოინახულა. გარდა ამისა, დოსტანიჩი "დინამო არენაზე", თბილისისა და მოსკოვის "დინამოების" ამხანაგურ მატჩზე შევნიშნეთ.

ჩვენი ინფორმაციით, საკმაოდ დიდია იმის შანსი, რომ მხარეებმა საბოლოო შეთანხმებას მიაღწიონ. წესით, მიმდინარე კვირის ბოლომდე "ზესტაფონის" ახალი მთავარი მწვრთნელის ვინაობა უკვე ოფიციალურად გვეცოდინება.

იმერულმა კლუბმა მოლაპარაკება შეწყვიტა **გია გეგუჩაძესთან**, რომლის "ზესტაფონში" დაბრუნებაზეც ბოლო პერიოდში ინტენსიურად საუბრობდნენ.

რაც შეეხება დოსტანიჩის განვლილ კარიერას, მისი სამწვრთნელო მოღვაწეობა უკვე 18 წელიწადს ითვლის. ამ ხნის განმავლობაში მან 17 კლუბის გაწვრთნა მოასწრო. უმუშავია სერბულ "ცრვენა ზვეზდაში", სადაც მანამდე თამაშობდა კიდეც, ასევე ყოფილა ისეთი კლუბების თავკაცი, როგორებიც არიან ბულგარული "ლევსკი" და "სლავია", სერბული ოფკ, მაკედონური "ვარდარი", ჩინური "დალიანი" და სხვები. მოუპოვებია სერბეთის თასი და ბულგარეთის სუპერთასი.

დაახლოებით წელიწადია, დოსტანიჩი უმუშევარია. ბოლოს იგი ბერძნულ "დიაგორასში" მუშაობდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ტრანსფერი

# პარუნაშვილი: იჯარით სიონში

თბილისის "დინამოში" დუშან უჰრინის მისვლის შემდეგ, რამდენიმე ახალგაზრდა მოთამაშე სარეზერვო გუნდში გაუშვეს ან გაანათხოვრეს – **გიორგი რეხვიაშვილი, ჯაბა ჯიღაური, არჩილ ტვილდიანი, ნიკა კვეკვესკირი...**



ლაშა პარუნაშვილი

მაგრამ კვლავ "დინამო 2"-ში რჩებოდა **ლაშა პარუნაშვილი,** საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების ნახევარმცველი, რომელიც **გიორგი დევდარიანის** გაწვრთნილი ასაკობრივი ნაკრებების ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ.

ლაშას ჯერ კიდევ ზამთარში სურდა იჯარით უმაღლესი ლიგის კლუბში გადასვლა. პირველში თამაში არ აკმაყოფილებდა და ცხადია, ეს არც ახალგაზრდული ნაკრებში დასამკვიდრებლად გამოადგებოდა. მიწვევებიც ჰქონდა, მაგრამ მაშინ "დინამო" ვერ შეელია.

გუშინ გვიან შევიტყვეთ, რომ თბილისის "დინამოს" ხელმძღვანელობა მოთამაშის სურვილს გაგებით მოეკიდა და 19 წლის ნახევარმცველი ბოლნისის "სიონში" წავიდა.

*"ბოლნისში დღეს პირველად ვივარჯიშე და გადაწყდა, რომ დავრჩები. მიხარია, "დინამომ" ჩემი რომ გაიგო. კლუბების შეთანხმდნენ, რომ "სიონში" იჯარით წლის ბოლომდე ვითამაშებ. რა თქმა უნდა, პირველ ლიგაში გამოსვლას უმაღლესში თამაში მერჩივნა - ასე უფრო გავიზრდები, "დინამოს" ძირითადში მოხვედრის შანსი კი არ მქონდა. იმანაც ძალიან გამახარა, რომ "სიონში" ჩემი ბავშვობის მეგობარი და თანაგუნდელი აჩიკო ტვილდიანია. იმედია, ახალ კლუბში სათამაშო პრაქტიკა მექნება"* – გვითხრა პარუნაშვილმა.

**მერაბ მამულაშვილი**

სტუმრის კომენტარი

# ანდრეი შევჩენკო: ქართულ ფეხბურთს ასე თუ აალორძინებთ



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

კრიშტიანო რონალდო (მარცხნივ) და ანდრეი შევჩენკო თბილისში

თბილისის "დინამოს" მეპატრონემ, **რომან ფიფიამ** მოახერხა და თბილისელ გულშემატკივარს საჩუქარი მიუძღვნა - ვიტალი დარასელიას სახელობის თბილისის "დინამოს" საფეხბურთო აკადემიის გახსნის ცერემონიალზე, **კახა კალაძესთან** ერთად, მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავები, **კრიშტიანო რონალდო** და **ანდრეი შევჩენკო** ჩამოიყვანა. მეგავარსკვლავების ჩამოსვლით განებივრებულები არ ვართ. ან ეს ფაქტი რად ღირს - თბილისის "დინამო" თამაშობდა, რონალდუ და შევჩენკო კი მათ თვალს ტრიბუნიდან ადევნებდნენ.

"ლელომ" **ანდრეი შევჩენკოს** მცირე კომენტარი ჩამოართვა: *"უპირველესად, თბილისის "დინამოს" ამ სკოლის გახსნას ვულოცავ და ვუსურვებ, რომ ისეთი ვარსკვლავები აღზარდონ, რომლებიც გუნდის სახელოვან ტრადიციებს აალორძინებენ. მე ბავშვობაში ქართველების წინააღმდეგ ბევრჯერ მითამაშია და ვიცი, რომ ძალიან ძლიერი საფეხბურთო სკოლა გქონდათ. სამწუხაროა, რომ ომებმა და ეკონომიკურმა ჩამორჩენამ თქვენი ფეხბურთი უკან დახია. მაგრამ "დინამოს" პრეზიდენტმა რომან ფიფიამ ქართული ფეხბურთის აღორძინებისთვის სერიოზული ნაბიჯი გადადგა. ქართული ფეხბურთის აღორძინების წინა პირობა მხოლოდ ამ დონის საფეხბურთო ბაზის მშენებლობები გახდება. მომავალ თაობებს პირობებს თუ არ შევუქმნით, მათ ნიჭს გასაქანი არ ექნება. "დინამოს" საფეხბურთო აკადემიის მსგავსი ბაზა ბევრ ცნობილ კლუბს არ გააჩნია. კარგია, რომ აქ კახა მოვიდა, თბილისშია კრიშტიანოც – ეს ბავშვებისთვის დიდი სტიმულია და იგრძნობენ, რომ არა რიგითი, არამედ, ისტორიული კლუბის ფეხბურთელებად იზრდებიან. საქმეებით დაკავებული ვიყავი, მაგრამ მაინც ჩამოვედი, რადგან კარგად მესმის, ბავშვები რა სიხარულით გველოდნენ. დიდი მადლობა "დინამოს" პრეზიდენტს, რომან ფიფიას, ამ ბავშვებთან შეხვედრისა და მათთვის გზის დალოცვის საშუალება რომ მოგვცა".*

**მერაბ მამულაშვილი**

სამზადისი

# დილამ ნავსი გატეხა

თურქულ შეკრებაზე გორის „დილამ" გუშინ კიდევ ერთი საკონტროლო შეხვედრა გამართა - თურქეთის პირველი ლიგის „სანლიურფასფორი" 3:1 დაამარცხა.

მატჩის პირველი გოლი თურქებმა გაიტანეს, გამთანაბრებელი **ირაკლი მოდებაძემ** შეაგდო, მერე კი **ლაშა გვალიამ** და **გრიგოლ დოლიძემ** გამოიჩინეს თავი.

„დილაში „გვითხრეს, რომ „სანლიურფასფორი" საკმაოდ ამბიციური კლუბია, დამდეგ სეზონში სუპერლიგაში გადასვლას აპირებს, ბიუჯეტი კი თითქმის ათი მილიონი დოლარი აქვსო.

შეგახსენებთ, რომ „დილამ" ამ თურქულ შეკრებაზე მანამდე სამი ამხანაგური მატჩი ითამაშა და სამივე ფრედ დაასრულა, გუშინ კი ნავსი გატეხა.

სამშობლოში დაბრუნებამდე „დილა" საკონტროლო შეხვედრის ჩატარებას აღარ აპირებს.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანჩესტერ სიტი

# 30 000 000 იოვეტიჩი სიტიში?



მარიო გომესის შეძენის შემდეგ „ფიორენტინა“ შეიძლება დათანხმდეს კიდეც სტევან იოვეტიჩის ტრანსფერს

მიუხედავად იმისა, რომ „მანჩესტერ სიტი“ პრაქტიკულად ამოუწურავი ფინანსური რეზერვების პატრონია, ის მაინც ვერ ახერხებს ყველა სატრანსფერო ბრძოლაში გამარჯვებას. „ქალაქელებმა“ ამ ზაფხულს ორჯერ იწვნიეს მწარე მარცხი. პირველად მაშინ, როცა კოლუმბიელმა **რადამელ ფალკაომ** „მონაკოში“ არჩია კარიერის გაგრძელება და მეორედ **ედინსონ კავანისთვის** ბრძოლაში. ურუგვაელმაც საფრანგეთზე, კონკრეტულად კი „პარი სენ-ჟერმენზე“ გააკეთა არჩევანი. ამ ორზე ნაკლებად, მაგრამ მაინც აქტიურად განიხილებოდა სხვა ვარიანტებიც. მაგალითად, „ბაიერნიდან“ **მარიო გომესის** შეძენა, „ფიორენტინადან“ **სტევან იოვეტიჩის** გადაბირება და ასე შემდეგ. რაკი გერმანელმა სწორედ „ფიორენტინას“ მიაშურა, „ქალაქელებს“ ისღა დარჩენიათ, „იებს“ ჩერნოგორიელზე მოურიგდნენ. „გაძეტა დელო სპორტის“ ცნობით, „სიტი“ მზად არის, თავდამსხმელში 30 მილიონი ევრო გადაიხადოს.

ფლორენციელთა ბოსმა **ანდრეა დელა ვალემ** ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ თუკი დაინტერესებული კლუბი ნაკლებ თანხას შესთავაზებდა, მოლაპარაკების მაგიდასთან ის არ დაჯდებოდა. „მანჩესტერ სიტი“ ერთადერთი არ არის, ვინც იოვეტიჩის მოხიბვლას ცდილობს. სერიოზული კონკურენციის გაწევა შეუძლია „იუვენტუსსაც“. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ 23 წლის ფეხბურთელის კონტრაქტის გამოსასყიდად ფინანსურ მხარეს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება. მთავარია, ვინ შესთავაზებს „ვიოლას“ ხსენებულ თანხას ყველაზე სწრაფად. მოგვიანებით იტალიურმა წყაროებმა კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაცია გაავრცელეს: იოვეტიჩის აგენტი **ფალი რამადანი** გუშინ ლონდონში ჩაფრინდა, სადაც ერთ-ერთი პრემიერლიგური კლუბის წარმომადგენლებთან აპირებდა შეხვედრას.

„სიტი“ რამდენიმე დღის წინ „რომადან“ **პაბლო ოსვალდოს** შეძენასაც აპირებდა, თუმცა „ჯალოროსიმ“ საბოლოოდ გარიგებაზე უარი თქვა. რომაელებს 14 მილიონი ევრო ეცოტავათ.

სავარაუდო ტრანსფერები

# 62,5 მილიონი თავდამსხმელისთვის

გუშინდელმა „დეილი მეილმა“ „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავდამსხმელით, 27 წლის **უეინ რუნით** დაინტერესებულ კიდევ ერთ კლუბზე გაავრცელა ინფორმაცია. აქამდე ინგლისის ნაკრების ფეხბურთელის პოტენციურ მყიდველებად მიიჩნეოდნენ „ბარსელონა“, „პარი სენ-ჟერმენი“ (რომელიც გასაგები მიზეზების გამო ბრძოლას ჩამოშორდა) და „არსენალი“. გამოცემა ირწმუნება, **ჟოზე მოურინიოს** იმდენად სურს ფეხბურთელის ხელში ჩაგდება, რომ მზად არის, მას ლონდონური კლუბის ისტორიაში რეკორდული ხელფასი შესთავაზოს. ლაპარაკია კვირაში 240 ათას ფუნტზე, რაც წელიწადში 12,480 მილიონს უტოლდება. 5-წლიანი კონტრაქტით კი რუნი სულ 62,5 მილიონს გამოიმუშავებს. „ოლდ ტრეფორდზე“ ის 250 ათას იღებს, მაგრამ „იუნაიტედი“ ახალი ხელშეკრულებით მას ანაზღაურების მნიშვნელოვნად დაკლებას სთავაზობს. იმისთვის, რომ „ჩელსის“ მიერ შეთავაზებული ხელფასი დაიმსახუროს, ფეხბურთელმა კლუბის მენეჯმენტს პოზიცია უნდა შეაცვლევინოს და ლონდონელებთან მოლაპარაკებებზე დაითანხმოს. „ჩელსის“ დაჟინება გასაგებია, რადგან „მანჩესტერ სიტისა“ არ იყოს, **რადამელ ფალკაოსა** და **ედინსონ კავანისთვის** ისიც იბრძოდა და თანაც რაც დრო გადის, მაღალი დონის ფეხბურთელის ხელში ჩაგდების შანსები სულ უფრო მცირდება.

## ფერდინანდი ურჩევს

რუნის დაუსრულებელ სატრანსფერო საგაზე კომენტარი გააკეთა „მანჩესტერ იუნაიტედის“ მცველმა **რიო ფერდინანდმა**. აი, რას ამბობს ის: „ვერ წარმომიდგენია, არსებობდეს კლუბი, სადაც უეინი თავს უფრო კომფორტულად იგრძნობს, ვიდრე ჩვენთან. კრიშტიანო რონალდოც ძალიან დიდი ფეხბურთელია, მაგრამ განა მან იმდენი ტიტული მოიპოვა, რამდენის შანსიც ჩვენთან ექნებოდა? იმის თქმა არ მინდა, რომ პორტუგალიელი არ უნდა წასულიყო, რადგან „რეალი“ მისი ოცნება იყო. ადამიანს, ვინც „ოლდ ტრეფორდზე“ იმდენი ტიტული მოიპოვა, რამდენიც უეინმა, უნდა ესმოდეს, თუ რას ნიშნავს კლუბის განვითარების დინამიკა. ის საკმაოდ ჭკვიანია და გამოცდილი იმისთვის, რომ თავად განსაზღვროს, თუ სად ჯობია კარიერის გაგრძელება. თანაგუნდელების საქმე არ არის მისი განსჯა. მოვა დრო და ის ყველაფერს იტყვის. მოიესმა დამარწმუნა, რომ რუნი დარჩება, მაგრამ, მოდი, მაინც დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას“.



უეინი (მარცხნივ) ენდი მარეისა და ნოვაკ ჯოკოვიჩის უიმბლდონურ ფინალს მსახიობ ჯერარდ ბატლერთან ერთად ესწრება

## თუ არა რუნი...

უკვე ვწერდით, რომ „ჩელსი“ რამდენიმე დღეა, სერიოზულად მუშაობს „ასტონ ვილადან“ **კრისტიან ბენტეკეს** ტრანსფერზეც. თუკი დედაქალაქელებს რუნის შეძენა არ გამოუვათ, მაშინ ისინი აქცენტს სწორედ 22 წლის ბელგიელზე გადაიტანენ. იმის მიუხედავად, რომ ფეხბურთელს მოქმედი ხელშეკრულება 2016 წლამდე აკავშირებს, ბენტეკემ ბირმინგემელებს უკვე მიმართა ოფიციალური წერილით და ტრანსფერზე დაყენება ითხოვა. კრისტიანს შევბულება 18 ივლისამდე აქვს. ასე რომ, იქამდე კონკრეტულად საკითხის გადაწყვეტას არ უნდა ველოდეთ.

„იმედგაცრუებულები ვართ, რომ ფეხბურთელმა გაშვება გვთხოვა, რადგან მიგვაჩნია, რომ ისინი, ვინც ჩვენთან კონტრაქტით არიან დაკავშირებულნი, ჩვენს მისწრაფებებს ძლიერი გუნდის ასაშენებლად, პატივს უნდა სცემდნენ. ის ვალდებულია, კიდევ სამი წელი დარჩეს ჩვენთან, თუმცა გადაწყვეტილად ვერაფერს მოგახსენებთ,“ - აცხადებს პოლ ლამბერტი.

ბევრად უფრო მშრალია პრესსამსახურის მიერ გავრცელებული კლუბის ოფიციალური განცხადება: „სატრანსფერო თხოვნა ბენტეკესგან ნამდვილად მივიღეთ. საპასუხოდ მას უკვე ვაცნობეთ, რომ თუკი გარკვეულ დრომდე სოლიდურ შემოთავაზებას მივიღებთ, აუცილებლად გავეცნობით. თუმცა იქამდე მას გუნდის სრულფასოვან წევრად განვიხილავთ, ფეხბურთელად, ვისი იმედიც შეიძლება გვქონდეს 2013/14 წლების სეზონში“.

ამბები

## პარდიუს თავდამსხმელები სჭირდება

„ნიუკასლის“ მთავარმა მწვრთნელმა **ალან პარდიუმ** „სქაი სპორტსთან“ ინტერვიუში დაადასტურა, რომ 2013/14 წლების სეზონში მხოლოდ **პაპის სისეს** იმედად დარჩენას არ აპირებს და „სენტ ჯეიმს პარკზე“ **დარენ ბენტისა** (29 წლის) და **ლოიკ რემის** (25) გადაბირება სურს. მით უფრო, რომ სენეგალელის ჭირვეულობის გამო, მევახშეთა რეკლამიან მაისურას არ ჩავიცვამო, დარჩება თუ არა ის ტაინსაიდში, ჯერ კიდევ არ არის გარკვეული.



ლოიკ რემი

ბენტი „ასტონ ვილაში“ თამაშობს და რაკი მთელი შარშანდელი სეზონი სათადარიგოთა შორის გაატარა, „ვილა პარკიდან“ გაქცევაზე უჭირავს თვალი, რემი კი „ქუინზ პარკის“ რიგებში 2013 წლის იანვარში გადავიდა და გუნდი გავარდნისგან ვერ იხსნა. მას ესმის, რომ „ლოფტუს როუდზე“ დარჩენის შემთხვევაში დიდი შანსი აქვს, **დიდიე დეშამის** ყურადღების მიღმა აღმოჩნდეს და ბრაზილიაში მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ გაემგზავროს. თანაც „რეინჯერებს“ მაღალანაზღაურებადი მოთამაშეებისგან სურთ გათავისუფლება. პარდიუს თქმით, შარშან „კაჭკაჭები“ სწორედ წინა ხაზში კონკურენციის არარსებობამ დაალალატა.

## კეროლის კვალდაკვალ

2011 წლის ზაფხულზე „ასტონ ვილადან“ **სტიუარტ დაუნინგი კენი დალგლიშმა** შეიძინა. შეუძლებელია, ეს გარიგება გაგახსენდეს და უმალ ისიც არ ამოგიტივტივდეს გონებაში, თუ რა დაუჯდათ მერსისაიდელებს ის - 20 მილიონი ფუნტი. დაახლოებით იმდენივე, რაც ვთქვათ, თავის დროზე „ბაიერნს“ **ფრანკ რიბერისა** და **არიენ რობენის** შეძენა. დაუნინგის დაკნინებას სულაც არ ვაპირებთ, მით უფრო, რომ 2012/13 წლების სეზონის მეორე ნახევარი მან მაღალ დონეზე ჩაატარა (სულ მის ანგარიშზე 7 გოლი და 11 საგოლე გადაცემა იყო), მაგრამ ფაქტია, რომ ის 20 მილიონი არ ღირს. ამის დასტურია ისიც, რომ 28 წლის ფეხბურთელი 2 წლის თავზე 8 მილიონად არის შეფასებული. დიახ, სწორედ ამ თანხას ითხოვენ „წითლები“ „ვესტ ჰემისგან“. დაუნინგის ხელშეკრულებას ვადა 2015 წელს გასდის. ის „ენფილდზე“ ერთ-ერთი ყველაზე ძვირად ანაზღაურებადი მოთამაშეა და მისი გაყიდვის გადაწყვეტილება სწორედ სახელფასო ფონდის შემცირების სურვილით ნაკვები გვგონია.

შეგახსენებთ, რომ ორიოდე კვირის წინ „ვესტ ჰემმა“ „ენფილდიდან“ 15,7 მილიონ ფუნტად **ენდი კეროლიც** გადაიბირა.

## ეირი გვარდიოლას შეხვდა

„ლივერპულის“ აღმასრულებელი დირექტორი **იან ეირი** ბოლო ხანს პრესაში ატეხილი აჟიოტაჟის გამო **ლუის სუარესის** აგენტ **პერე გვარდიოლას** (**პეპ გვარდიოლას** ძმა) პირისპირ შეხვდა და მასთან 26 წლის ურუგვაელის სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. „ლივერპულ ეხოს“ ცნობით, მოლაპარაკებები მშვიდ და კონსტრუქციულ გარემოში წარიმართა და რაც მთავარია, ფეხბურთელის წარმომადგენელს სიტყვაც არ დაუძრავს კლიენტის ტრანსფერზე. მხარეების თქმით, შეხვედრა დიდი ხნის წინ იყო დაგეგმილი და „არსენალის“ მიერ სუარესის თაობაზე ორიოდე დღის წინ ოფიციალურ შეთავაზებასთან მას კავშირი არ აქვს.

## კრაუჩს თურქები იწვევენ



პეტერ კრაუჩი

„სტოკსიტიში“ დანიშვნის შემდეგ **მარკ ჰიუზმა** პირველი, ვინც აითვალწუნა, 32 წლის **პიტერ კრაუჩია**. ტანმაღალი თავდამსხმელი უელსელის გემოვნებაში ვერ ჯდება. შესაბამისად, მას ახალი გუნდის პოვნა მოუწევს. თურქული პრესის ცნობით, ფეხბურთელს „ტრაბზონსპორი“ იწვევს. ინგლისელი ბუნდესლიგის „აუგსბურგში“ გადასული **ჰალილ ალტინტოპის** შემცვლელად განიხილება. კრაუჩის ტრანსფერი 4 მილიონ ევროდ არის შეფასებული. პიტერს ინგლისური ვარიანტიც აქვს. მას ჩემპიონშიპში დაქვეითებული „ქუინზ პარკი“ იწვევს, სადაც მას 2000/01 წლების სეზონი აქვს გატარებული. გეტყვით იმასაც, რომ „რეინჯერების“ თავკაცი ის **ჰარი რედნაპია**, ვისი ხელმძღვანელობითაც კრაუჩს „საუთჰემპტონსა“ (2004/05) და „ტოტენჰემში“ (2009/11) უთამაშია.

## ყველაზე ხელგაშლილები ევროპაში

ფრანგულ კლუბებში განხორციელებული სერიოზული ინვესტიციების წყალობით ისინი ბოლო ორი წელია ევროპულ სატრანსფერო ბაზარზე ლიდერის პოზიციებს არ თმობენ. ასე მაგალითად, 2012 წლის ზაფხულზე ახალ ფეხბურთელებში ყველაზე დიდი ფული „პარი სენ-ჟერმენმა“ დახარჯა - 147 მილიონი ევრო. წელს მას სულ რაღაც 3 მილიონით ჩამორჩება „მონაკო“. **კლაუდიო რანიერის** გუნდმა სოლიდური თანხები დახარჯა **რადამელ ფალკაოში** („ატლეტიკო“, 52,8 მლნ ევრო), **ჯეიმს როდრიგესსა** („პორტუ“, 39,6 მლნ) და **ჟოაო მოუტინიოში** („პორტუ“, 22 მლნ). ამას გარდა ჯუჯა სამეფოს წარმომადგენლებმა კიდევ არაერთი მოთამაშე დაიმატეს. რაკი **ედინსონ კავანის** პსჟ-ში გადასვლა ჯერ კიდევ არ არის გაფორმებული, ჩამონათვალში ვერ მოხვდა შარშანდელი „რბოლის“ გამარჯვებული. ახლა კი უბრალოდ სიას შემოგთავაზებთ: 1. „მონაკო“ - 144 მლნ; 2. „ბარსელონა“ - 70; 3. „მანჩესტერ სიტი“ - 60; 4. „ანჟი“ - 51,1; 5. „რეალი“ - 42,5.

## კარაგუნისი დარჩა

36 წლის ბერძენი ცენტრალური ნახევარმცველი **გიორგოს კარაგუნისი** „ფულჰემში“ 2012 წლის სექტემბერში თავისუფალი აგენტის სტატუსით ჩაირიცხა და სეზონის ბოლომდე 28 შეხვედრაში მოასწრო მონაწილეობა. გულშემატკივართა შორის ჩატარებულ გამოკითხვაში გერმანელი **საშა რიტერის** შემდეგ ის გუნდის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა. 30 ივნისს გიორგოსს ხელშეკრულების ვადა ამოეწურა და რამდენიმე დღით უმუშევარი დარჩა, მაგრამ გუშინ **მარტინ იოლის** ინიციატივით, მასთან ახალი 1-წლიანი კონტრაქტი გაფორმდა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

## ესპანეთი 2013/14

## ლა ლიგა. კალენდარი



გასული სეზონი ბარსელონას სეჩემპიონო ტრიუმფით დასრულდა

**I ტური. 17-18 აგვისტო**

ბარსელონა-ლევანტე
ვალენსია-მალაგა
რეალი-ბეტისი
სევილია-ატლეტიკო
სოსიედადი-ხეტაფე
ვალიადოლიდი-ბილბაო
ოსასუნა-გრანადა
სელტა-ესპანიოლი
ალმერია-ვილიარეალი
რ. ვალეკანო-ელჩე

**II ტური. 24-25 აგვისტო**

ესპანიოლი-ვალენსია
ბეტისი-სელტა
გრანადა-რეალი
ბილბაო-ოსასუნა
ვილიარეალი-ვალიადოლიდი
ხეტაფე-ალმერია
ელჩე-სოსიედადი
ატლეტიკო-რ. ვალეკანო
ლევანტე-სევილია
მალაგა-ბარსელონა

**III ტური. 31-1 სექტემბერი**

რეალი-ბილბაო
ვალიადოლიდი-ხეტაფე
ალმერია-ელჩე
სოსიედადი-ატლეტიკო
რ. ვალეკანო-ლევანტე
სევილია-მალაგა
ვალენსია-ბარსელონა
ესპანიოლი-ბეტისი
სელტა-გრანადა
ოსასუნა-ვილიარეალი

**IV ტური. 14-15 სექტემბერი**

ბეტისი-ვალენსია
გრანადა-ესპანიოლი
ბილბაო-სელტა
ვილიარეალი-რეალი
ხეტაფე-ოსასუნა
ელჩე-ვალიადოლიდი
ატლეტიკო-ალმერია
ლევანტე-სოსიედადი
ბარსელონა-სევილია
მალაგა-რ. ვალეკანო

**V ტური. 21-22 სექტემბერი**

ესპანიოლი-ბილბაო
სელტა-ვილიარეალი
რეალი-ხეტაფე
ოსასუნა-ელჩე
ბეტისი-გრანადა
ვალიადოლიდი-ატლეტიკო
ალმერია-ლევანტე
სოსიედადი-მალაგა
რ. ვალეკანო-ბარსელონა
ვალენსია-სევილია

**VI ტური. 24-25 სექტემბერი**

ხეტაფე-სელტა
მალაგა-ალმერია
ბარსელონა-სოსიედადი
ატლეტიკო-ოსასუნა
გრანადა-ვალენსია
ბილბაო-ბეტისი
ვილიარეალი-ესპანიოლი
ელჩე-რეალი
ლევანტე-ვალიადოლიდი
სევილია-რ. ვალეკანო

**VII ტური. 28-29 სექტემბერი**

სელტა-ელჩე
გრანადა-ბილბაო
ალმერია-ბარსელონა
ბეტისი-ვილიარეალი
ესპანიოლი-ხეტაფე
რეალი-ატლეტიკო
ოსასუნა-ლევანტე
ვალიადოლიდი-მალაგა
სოსიედადი-სევილია
ვალენსია-რ. ვალეკანო

**VIII ტური. 5-6 ოქტომბერი**

ხეტაფე-ბეტისი
ატლეტიკო-სელტა
მალაგა-ოსასუნა
ლევანტე-რეალი
ბილბაო-ვალენსია
ვილიარეალი-გრანადა
ელჩე-ესპანიოლი
ბარსელონა-ვალიადოლიდი
სევილია-ალმერია
რ. ვალეკანო-სოსიედადი

**IX ტური. 19-20 ოქტომბერი**

ბილბაო-ვილიარეალი
გრანადა-ხეტაფე
ბეტისი-ელჩე
ესპანიოლი-ატლეტიკო
ალმერია-რ. ვალეკანო
სელტა-ლევანტე
რეალი-მალაგა
ოსასუნა-ბარსელონა
ვალიადოლიდი-სევილია
ვალენსია-სოსიედადი

**X ტური. 26-27 ოქტომბერი**

ვილიარეალი-ვალენსია
ხეტაფე-ბილბაო
ელჩე-გრანადა
სოსიედადი-ალმერია
ბარსელონა-რეალი
ატლეტიკო-ბეტისი
ლევანტე-ესპანიოლი
მალაგა-სელტა
სევილია-ოსასუნა
რ. ვალეკანო-ვალიადოლიდი

**XI ტური. 29-30 ოქტომბერი**

ბილბაო-ელჩე
ბეტისი-ლევანტე
ესპანიოლი-მალაგა
ვალიადოლიდი-სოსიედადი
ვილიარეალი-ხეტაფე
გრანადა-ატლეტიკო
სელტა-ბარსელონა
რეალი-სევილია
ოსასუნა-რ. ვალეკანო
ვალენსია-ალმერია

**XII ტური. 2-3 ნოემბერი**

ხეტაფე-ვალენსია
მალაგა-ბეტისი
სოსიედადი-ოსასუნა
ალმერია-ვალიადოლიდი
ელჩე-ვილიარეალი
ატლეტიკო-ბილბაო
ლევანტე-გრანადა
ბარსელონა-ესპანიოლი
სევილია-სელტა
რ. ვალეკანო-რეალი

**XIII ტური. 9-10 ნოემბერი**

გრანადა-მალაგა
რეალი-სოსიედადი
ოსასუნა-ალმერია
ვალენსია-ვალიადოლიდი
ხეტაფე-ელჩე
ვილიარეალი-ატლეტიკო
ბილბაო-ლევანტე
ბეტისი-ბარსელონა
სელტა-რ. ვალეკანო
ესპანიოლი-სევილია

**XIV ტური. 23-24 ნოემბერი**

ელჩე-ვალენსია
მალაგა-ბილბაო
ბარსელონა-გრანადა
ალმერია-რეალი
ატლეტიკო-ხეტაფე
ლევანტე-ვილიარეალი
სევილია-ბეტისი
რ. ვალეკანო-ესპანიოლი
სოსიედადი-სელტა
ვალიადოლიდი-ოსასუნა

**XV ტური. 30-1 დეკემბერი**

ელჩე-ატლეტიკო
გრანადა-სევილია
ესპანიოლი-სოსიედადი
რეალი-ვალიადოლიდი
ვალენსია-ოსასუნა
ხეტაფე-ლევანტე
ვილიარეალი-მალაგა
ბილბაო-ბარსელონა
ბეტისი-რ. ვალეკანო
სელტა-ალმერია

**XVI ტური. 14-15 დეკემბერი**

ლევანტე-ელჩე
ატლეტიკო-ვალენსია
მალაგა-ხეტაფე
ბარსელონა-ვილიარეალი
სევილია-ბილბაო
რ. ვალეკანო-გრანადა
სოსიედადი-ბეტისი
ალმერია-ესპანიოლი
ვალიადოლიდი-სელტა
ოსასუნა-რეალი

**XVII ტური. 21-22 დეკემბერი**

ატლეტიკო-ლევანტე
ელჩე-მალაგა
ხეტაფე-ბარსელონა
ვილიარეალი-სევილია
ბილბაო-რ. ვალეკანო
გრანადა-სოსიედადი
ბეტისი-ალმერია
ესპანიოლი-ვალიადოლიდი
სელტა-ოსასუნა
ვალენსია-რეალი

**XVIII ტური. 4-5 იანვარი**

ვალენსია-ლევანტე
მალაგა-ატლეტიკო
ბარსელონა-ელჩე
სევილია-ხეტაფე
რ. ვალეკანო-ვილიარეალი
სოსიედადი-ბილბაო
ალმერია-გრანადა
ვალიადოლიდი-ბეტისი
ოსასუნა-ესპანიოლი
რეალი-სელტა

**XIX ტური. 11-12 იანვარი**

ატლეტიკო-ბარსელონა
ესპანიოლი-რეალი
ხეტაფე-რ. ვალეკანო
ბეტისი-ოსასუნა
ბილბაო-ალმერია
ელჩე-სევილია
ვილიარეალი-სოსიედადი
სელტა-ვალენსია
ლევანტე-მალაგა
გრანადა-ვალიადოლიდი

**XX ტური. 18-19 იანვარი**

ლევანტე-ბარსელონა
მალაგა-ვალენსია
ბეტისი-რეალი
ატლეტიკო-სევილია
ხეტაფე-სოსიედადი
ბილბაო-ვალიადოლიდი
გრანადა-ოსასუნა
ესპანიოლი-სელტა
ვილიარეალი-ალმერია
ელჩე-რ. ვალეკანო

**XXI ტური. 25-26 იანვარი**

ვალენსია-ესპანიოლი
სელტა-ბეტისი
რეალი-გრანადა
ოსასუნა-ბილბაო
ვალიადოლიდი-ვილიარეალი
ალმერია-ხეტაფე
სოსიედადი-ელჩე
რ. ვალეკანო-ატლეტიკო
სევილია-ლევანტე
ბარსელონა-მალაგა

**XXII ტური. 1-2 თებერვალი**

ბილბაო-რეალი
ხეტაფე-ვალიადოლიდი
ელჩე-ალმერია
ატლეტიკო-სოსიედადი
ლევანტე-რ. ვალეკანო
მალაგა-სევილია
ბარსელონა-ვალენსია
ბეტისი-ესპანიოლი
გრანადა-სელტა
ვილიარეალი-ოსასუნა

**XXIII ტური. 8-9 თებერვალი**

ვალენსია-ბეტისი
ესპანიოლი-გრანადა
სელტა-ბილბაო
რეალი-ვილიარეალი
ოსასუნა-ხეტაფე
ვალიადოლიდი-ელჩე
ალმერია-ატლეტიკო
სოსიედადი-ლევანტე
სევილია-ბარსელონა
რ. ვალეკანო-მალაგა

**XXIV ტური. 15-16 თებერვალი**

ბილბაო-ესპანიოლი
ვილიარეალი-სელტა
ხეტაფე-რეალი
ელჩე-ოსასუნა
გრანადა-ბეტისი
ატლეტიკო-ვალიადოლიდი
ლევანტე-ალმერია
მალაგა-სოსიედადი
ბარსელონა-რ. ვალეკანო
სევილია-ვალენსია

**XXV ტური. 22-23 თებერვალი**

სელტა-ხეტაფე
ალმერია-მალაგა
სოსიედადი-ბარსელონა
ოსასუნა-ატლეტიკო
ვალენსია-გრანადა
ბეტისი-ბილბაო
ესპანიოლი-ვილიარეალი
რეალი-ელჩე
ვალიადოლიდი-ლევანტე
რ. ვალეკანო-სევილია

**XXVI ტური. 1-3 მარტი**

ელჩე-სელტა
ბილბაო-გრანადა
ბარსელონა-ალმერია
ვილიარეალი-ბეტისი
ხეტაფე-ესპანიოლი
ატლეტიკო-რეალი
ლევანტე-ოსასუნა
მალაგა-ვალიადოლიდი
სევილია-სოსიედადი
რ. ვალეკანო-ვალენსია

**XXVII ტური. 8-10 მარტი**

ბეტისი-ხეტაფე
სელტა-ატლეტიკო
ოსასუნა-მალაგა
რეალი-ლევანტე
ვალენსია-ბილბაო
გრანადა-ვილიარეალი
ესპანიოლი-ელჩე
ვალიადოლიდი-ბარსელონა
ალმერია-სევილია
სოსიედადი-რ. ვალეკანო

**XXVIII ტური. 15-17 მარტი**

ვილიარეალი-ბილბაო
ხეტაფე-გრანადა
ელჩე-ბეტისი
ატლეტიკო-ესპანიოლი
რ. ვალეკანო-ალმერია
ლევანტე-სელტა
მალაგა-რეალი
ბარსელონა-ოსასუნა
სევილია-ვალიადოლიდი
სოსიედადი-ვალენსია

**XXIX ტური. 22-23 მარტი**

ვალენსია-ვილიარეალი
ბილბაო-ხეტაფე
გრანადა-ელჩე
ალმერია-სოსიედადი
რეალი-ბარსელონა
ბეტისი-ატლეტიკო
ესპანიოლი-ლევანტე
სელტა-მალაგა
ოსასუნა-სევილია
ვალიადოლიდი-რ. ვალეკანო

**XXX ტური. 25-27 მარტი**

ელჩე-ბილბაო
ლევანტე-ბეტისი
მალაგა-ესპანიოლი
სოსიედადი-ვალიადოლიდი
ხეტაფე-ვილიარეალი
ატლეტიკო-გრანადა
ბარსელონა-სელტა
სევილია-რეალი
რ. ვალეკანო-ოსასუნა
ალმერია-ვალენსია

**XXXI ტური. 29-30 მარტი**

ვალენსია-ხეტაფე
ბეტისი-მალაგა
ოსასუნა-სოსიედადი
ვალიადოლიდი-ალმერია
ვილიარეალი-ელჩე
ბილბაო-ატლეტიკო
გრანადა-ლევანტე
ესპანიოლი-ბარსელონა
სელტა-სევილია
რეალი-რ. ვალეკანო

**XXXII ტური. 5-6 აპრილი**

მალაგა-გრანადა
სოსიედადი-რეალი
ალმერია-ოსასუნა
ვალიადოლიდი-ვალენსია
ელჩე-ხეტაფე
ატლეტიკო-ვილიარეალი
ლევანტე-ბილბაო
ბარსელონა-ბეტისი
რ. ვალეკანო-სელტა
სევილია-ესპანიოლი

**XXXIII ტური. 12-13 აპრილი**

ვალენსია-ელჩე
ბილბაო-მალაგა
გრანადა-ბარსელონა
რეალი-ალმერია
ხეტაფე-ატლეტიკო
ვილიარეალი-ლევანტე
ბეტისი-სევილია
ესპანიოლი-რ. ვალეკანო
სელტა-სოსიედადი
ოსასუნა-ვალიადოლიდი

**XXXIV ტური. 19-21 აპრილი**

ატლეტიკო-ელჩე
სევილია-გრანადა
სოსიედადი-ესპანიოლი
ვალიადოლიდი-რეალი
ოსასუნა-ვალენსია
ლევანტე-ხეტაფე
მალაგა-ვილიარეალი
ბარსელონა-ბილბაო
რ. ვალეკანო-ბეტისი
ალმერია-სელტა

**XXXV ტური. 26-27 აპრილი**

ელჩე-ლევანტე
ვალენსია-ატლეტიკო
ხეტაფე-მალაგა
ვილიარეალი-ბარსელონა
ბილბაო-სევილია
გრანადა-რ. ვალეკანო
ბეტისი-სოსიედადი
ესპანიოლი-ალმერია
სელტა-ვალიადოლიდი
რეალი-ოსასუნა

**XXXVI ტური. 3-4 მაისი**

ლევანტე-ატლეტიკო
მალაგა-ელჩე
ბარსელონა-ხეტაფე
სევილია-ვილიარეალი
რ. ვალეკანო-ბილბაო
სოსიედადი-გრანადა
ალმერია-ბეტისი
ვალიადოლიდი-ესპანიოლი
ოსასუნა-სელტა
რეალი-ვალენსია

**XXXVII ტური. 10-11 მაისი**

ლევანტე-ვალენსია
ატლეტიკო-მალაგა
ელჩე-ბარსელონა
ხეტაფე-სევილია
ვილიარეალი-რ. ვალეკანო
ბილბაო-სოსიედადი
გრანადა-ალმერია
ბეტისი-ვალიადოლიდი
ესპანიოლი-ოსასუნა
სელტა-რეალი

**XXXVIII ტური. 17-18 მაისი**

ბარსელონა-ატლეტიკო
რეალი-ესპანიოლი
რ. ვალეკანო-ხეტაფე
ოსასუნა-ბეტისი
ალმერია-ბილბაო
სევილია-ელჩე
სოსიედადი-ვილიარეალი
ვალენსია-სელტა
მალაგა-ლევანტე
ვალიადოლიდი-გრანადა

პოლ პოგბა. თანაგუნდელები ვარსკვლავზე

# მოცეკვავე, ხუმარა, მძვინვარე, გიჟი, სამაგალითო

დღეს, თურქეთში მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონატის 1/2-ფინალური მატჩები გაიმართება. საფრანგეთის 20-წლამდელთა ნაკრები განას შეხვდება, ერაყი კი ურუგვაის. ფრანგთა ასეთი კარგი ასპარეზობის და წარმატების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი პოლ პოგბა გახლავთ. „იუვენტუსის“ ნახევარმცველი, რომელიც ანდრეა პირლომ ასე დაახასიათა: „მეტოქეებისთვის მასთან თამაში ძალიან რთულია. პოგბა ფიზიკურად ძალიან ძლიერია. მას უყვარს ბურთთან ერთად სირბილი და გოლების გატანა“. 20 წლის ფეხბურთელი უკვე ეროვნული ნაკრების წევრიც არის, თუმცა 20-წლამდელთა გუნდში ის ნამდვილი ლიდერი და კაპიტანია. ეს კი იოლი საქმე არ გახლავთ, რადგან საფრანგეთის ამ ახალგაზრდულ ნაკრებში ძალიან ბევრი ნიჭიერი და ამბიციური ფეხბურთელი ირიცხება. ფიფას ოფიციალური საიტი პოგბას თანაგუნდელებს გაესაუბრა და მისი ერთი სიტყვით დახასიათება სთხოვა. მოდი, ერთად გავიგოთ, რას ფიქრობენ „იუვენტუსის“ ახალგაზრდა ნახევარმცველზე თანაგუნდელები...



### ალფონს არეოლა: კაპიტანი

*„ის ნამდვილი კაპიტანია. როდესაც ის მოედანზეა, გუნდი უფრო მშვიდად არის. მას აქვს ის რაღაც, რაც სხვას არავის გააჩნია. პოლს ასევე ძალიან უყვარს ხუმრობა, ის მხიარული ბიჭია და ამის გამო, გასახდელში მუდამ კარგი ატმოსფეროა“.*

### ჟან-კრისტოფ ბაჰებეკი: მძვინვარე

*„ის მძვინვარე ტიპია (იცინის). უზბეკეთთან თამაშის წინ ჩემთვის თმის შეჭრა სურდა. ჩემთან მოვიდა და მითხრა: „ჯეი-სი, ასეთი სულელური ვარცხნილობით ტელევიზორში ვერ გამოჩნდები“. ამის შემდეგ, მაკრატელი აიღო და გამუდმებით მეკითხებოდა: „სარკეში ჩაიხედე? დავიჯერო, შენი ვარცხნილობა მოგწონს?“ და ა.შ.*

*ჩვენ ერთად უკვე წლებია ვთამაშობთ და ერთმანეთს, როგორც მოედანზე, ასევე მოედანს მიღმა, ძალიან კარგად ვუგებთ. პოლი სწორად მოიქცა, როდესაც „იუვეში“ გადავიდა, რადგან ეს დიდებული კლუბია და მას იქ მშვენიერი სეზონი ჰქონდა. ის არ იცვლება, ყოველთვის ბევრს ხუმრობს და ჩვენც ხშირად ვეხუმრებით. პოლს განსაკუთრებით დიმიტრი ფულკიეს გვადელუპურ აქცენტზე უყვარს ხუმრობა (იცინის)“.*

### ალექსი ბოსეტი: თავდაჯერება

*„ის თვითრწმენას გვმატებს. როდესაც პოგბა მოედანზეა, გუნდი თავს უფრო თავდაჯერებულად გრძნობს. ის დიდ კლუბში თამაშობს და მას აქვს გამოცდილება, რომელიც ბევრ ჩვენგანს ჯერ არ გააჩნია. მოედანს მიღმა კი პოლი ჩვეულებრივი ბიჭია“.*

### ლუკას დინიე: სამაგალითო

*„წყნარი, მშვიდი, მოკრძალებული. მისი დახასიათება ბევრი სიტყვით შეიძლება. ის პანიკაში არასდროს ვარდება და მთელი გუნდის დამშვიდებას ახერხებს. მას გუნდისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს და მიუხედავად იმისა, რომ უკვე ეროვნული გუნდის წევრია, 20-წლამდელთა გუნდში ისე მოვიდა, თითქოს ნაკრებში არც უთამაშია. ის ამაზე არასდროს საუბრობს. პოგბა სამაგალითოა, როგორ ფეხბურთელი და როგორც კაპიტანი“.*

### დიმიტრი ფულკიე: გიჟი

„პოგბა ცოტათი გიჟია, ყოველთვის ხუმრობს. ხალხს აჯავრებს და დასცინის, მაგრამ ზედმეტი არასდროს მოსდის. მოედანზე, თავისი გრძელი ფეხების გამო, იმდენ ორთაბრძოლას იგებს, რომ პოლი გუნდისთვის ფასდაუდებელია (იცინის)“.

### პიერ მანკოვსკი: გავლენა

*„მას უდიდესი გავლენა აქვს მოედანზე. ბრძოლის გარეშე არაფერს თმობს, პრაქტიკულად ყველგან ასწრებს და ყოველთვის ბურთს ითხოვს. მოედანს მიღმა ის სიცოცხლით სავსე, მხიარული ახალგაზრდაა. პოგბა დადებითი ტიპაჟის ლიდერია და თანაგუნდელებისთვის მისი მოედანზე ყოფნა ძალიან მნიშვნელოვანია“.*

### პიერ-ივ პოლომატი: გამოცდილება

*„გუნდში ყველაზე გამოცდილი ფეხბურთელია, რომელიც თავისი ხასიათით გუნდზე უდიდეს დადებით გავლენას ახდენ. მოედანს მიღმა ძალიან კეთილი და გულიანი ბიჭია. პოგბა კაპიტანი და ვარსკვლავია. მე ნაკრების განაცხადში სულ ბოლოს შემიყვანეს და მან ძალიან თბილი დახვედრა მომიწყო. ჩვენ ერთ ოთახში მოვხვდით და მისმა ასეთმა საქციელმა ადაპტაცია გამიადვილა“.*

### მუჰამადუ ნაბი სარი: მოცეკვავე

*„სულ ცეკვავს. როდესაც გასახდელში მუსიკა ირთვება, პოლი ცეკვას იწყებს და შემდეგ მას სხვებიც უერთდებიან. ძალიან ენერგიულია და მოედანზე მხოლოდ მოგება სურს“.*

### ფლორიან ტოვენი: მიმი

*„მას კარგად ეხერხება ადამიანების მიბაძვა. პოლს აბსოლუტურად ყველას იმიტირება შეუძლია. ბოლო პერიოდში, ის Swagg Man-ის (ფრანგი რეპერი) იმიტაციით არის დაკავებული. პოგბა მუდამ კარგ ხასიათზეა და როდესაც დაძაბულობაა, ყოველთვის ახერხებს სიტუაციის განმუხტვას“.*

### სამუელ უმტიტი: ხუმარა

*„ის კარგი ბიჭი, ძალიან კარგი ადამიანია და მასთან ურთიერთობა იოლია. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ გუნდში ნათამაშები აქვს, მიწაზე მყარად დგას. ის ასევე ნამდვილი მასხარაა, რომელიც ყველას დასცინის. პოგბამ იცის, როგორ მიიღოს ცხოვრებისგან სიამოვნება“.*

**ტატო ბაციკაძე**

სავარაუდო ტრანსფერი

# ბერნარდს ხუთი კლუბი იწვევს


ბერნარდიც ევროპისკენ იყურება

„ატლეტიკო მინეიროს“ უნიჭიერესი შემტევი **ბერნარდი** მომავალზე საუბარს ერიდება, თუმცა აღიარებს, რომ მისი შეძენა ხუთ კლუბს სურს. ამ ხუთიდან სამი ცნობილია. ესენი არიან: „პორტუ“, დორტმუნდის „ბორუსია“ და „ტოტენჰემი“, თუმცა, როგორც ამბობენ, ლონდონელებს, „კორინთიანსიდან“ **პაულინიოს** შეძენის შემდეგ, 20 წლის ფეხბურთელის მიმართ ინტერესი გაუნელდათ, სამაგიეროდ, საკუთარ რიგებში მისი ხილვა სერიოზულად სურთ „პორტუს“ და „ბორუსიას“, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელმა უკვე იყიდა **ჰენრიხ მხითარიანი და პიერ-ემერიკ ობამეიანგი**.

თავად ბერნარდმა განაცხადა, რომ მას ევროპაში წასვლა სურს, თუმცა ლიბერტადორესის თასის დასრულებამდე ტრანსფერზე საუბარს არ აპირებს. შეგახსენებთ, რომ „ატლეტიკო მინეირო“ ამ ტურნირის 1/2 ფინალშია გასული და ოთხშაბათს „ნიუელს ოლდ ბოისთან“ საპასუხო მატჩი ელის. პირველი შეხვედრა, რომელიც არგენტინაში გაიმართა, ბრაზილიელთა მარცხით, ანგარიშით 0:2 დასრულდა.

20 წლის ფეხბურთელმა, რომელიც „ატლეტიკო მინეიროს“ რიგებში 2011 წელს, 18 წლის ასაკში გამოჩნდა, ფართო საზოგადოების ყურადღება შარშან მიიპყრო, როდესაც **რონალდინიოს**, **ჟოს** და სხვა არაერთი გამოცდილი ფეხბურთელის გვერდით არათუ დაიკარგა, არამედ გუნდის ერთ-ერთი ლიდერად მოგვევლინა. ბრაზილიის შარშანდელ ჩემპიონატში ბერნარდმა 11 გოლი გაიტანა, წლევანდელ ლიბერტადორესის თასზე კი მის ანგარიშზე 3 ბურთია. ახალგაზრდა მოთამაშემ თავი ნაკრებშიც გამოიჩინა და კონფედერაციათა თასზე, მიუხედავად მცირე სათამაშო დროისა, საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

**ტატო ბაციკაძე**

ამბები

## რაული რეალში კიდევ ერთ ტაიმს ითამაშებს

22 აგვისტოს **რაულ გონსალეს ბლანკო** კიდევ ერთხელ მოირგებს მადრიდის „რეალის“ მაისურას. სანტიაგო ბერნაბეუს სახელობის თასისთვის ბრძოლაში „რეალის“ მეტოქე ყატარული „ალ სადი“ იქნება, რომლის შემადგენლობაშიც თამაშობს 36 წლის ვეტერანი. გადაწყდა, რომ 45 წუთს რაული „ბლანკოსის“ შემადგენლობაში ითამაშებს, მეორე 45 წუთს კი „ალ სადის“. რაულმა მადრიდის „რეალი“ 2010 წელს დატოვა, ის „შალკეში“ გადავიდა. „სამეფო კლუბში“ 16 სეზონი გაატარა და 700-ზე მეტი ოფიციალური მატჩი ითამაშა.

## ბარსელონა სერხიო აგუეროს ყიდვას აპირებს

ესპანური პრესა ამტკიცებს, რომ „ბარსელონა“ უახლოეს ხანებში წინადადებით მიმართავს „მანჩესტერ სიტის“ - კატალონიურ გრანდს არგენტინელი ფორვარდის, **სერხიო აგუეროს** შეძენა სურს. მას მერე, რაც „ბარსამ“ **დავიდ ვილია** პრაქტიკულად უფასოდ (5 მილიონი ევრო) გაუშვა მადრიდის „ატლეტიკოში“, გუნდს ფორვარდი ესაჭიროება.

**ტიტო ვილანოვა** კი აგუეროს დიდი ფანია და მას დიდი ხანია, სურს არგენტინელის გადაბირება.

შეგახსენებთ, რომ ინგლისში გადასვლამდე აგუერო „ატლეტიკოში“ თამაშობდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი


ფრანკ რიბერი და არიენ რობენი კანდიდატთა შორის არიან

# 10 კანდიდატი ცნობილია

უეფამ დაასახელა ევროპაში სეზონის დაუკეთესო ფეხბურთელის 10 კანდიდატი. აღსანიშნავია, რომ 10-დან 4 ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულ „ბაიერნს“ წარადგენს: **ფრანკ რიბერი, არიენ რობენი, ბასტიან შვაინშტაიგერი** და **თომას მიულერი**.

ეს ტროფეი **მიშელ პლატინიმ** დააარსა, ევროპის სპორტული მედიის ჯგუფთან ასოციაციაში. პირველი გამარჯვებული იყო **ლიონელ მესი** (2010/11), შარშან კი საუკეთესოდ **ანდრეს ინიესტა** დაასახელეს.

გამარჯვებული 29 აგვისტოს მონაკოში გამოვლინდება, სადაც იმ დღეს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის კენჭისყრა გაიმართება.

ზემოთ ჩამოთვლილთა გარდა კანდიდატთა სიაში არიან: **გარეთ ბეილი** (ტოტენჰემი), **კრიშტიანო რონალდო** (რეალი), **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** (პსჟ), **რობერტ ლევანდოვსკი** (დორტმუნდი), ლიონელ მესი (ბარსელონა) და **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

Auto Bild
საქართველო
გაყიდვაშია ივლისის ნომერი

ინტერი



ინტერი ახალი სეზონისთვის მზადებას შეუდგა

„ინტერი“ ახალი სეზონისთვის სამზადისს 10 ივლისს დაიწყებს და შეკრებაზე კურორტ ვალ-რენდენაზე გაემგზავრება, სადაც მოსამზადებელი ციკლის პირველი ეტაპია დაგეგმილი. ვალტერ მაცარიმ უკვე დაასახელა იმ ფეხბურთელთა ვინაობა, რომლებსაც შეკრებაზე იახლებს... ჯერ შემადგენლობას გავეცნოთ და შემდეგ განვავრცოთ თემა...

# მაცარის სია

## სკელოტო და სილვესტრი თამაშგარეში

**მეკარეები**: *სამირ ჰანდანოვიჩი, ლუკა კასტელაცი, ხუან პაბლო კარისო.*

**მცველები**: *ვალტერ სამუელი, კრისტიან კივუ, ანდრეა რანოკია, ჟუან ჟესუსი, ჯონათანი, იბრაიმა მბაიე, უგო კამპანიარო, მარკო ანდრეოლი, იუტო ნაგატომო, ალვარო პერეირა.*

**ნახევარმცველები**: *ესტებან კამბიასო, რიკი ალვარესი, მატეო კოვაჩიჩი, გაბი მუდინგაი, ჟოელ ობი, ფრედი გუარინი, ზდრავკო კუზმანოვიჩი.*

**თავდამსხმელები**: *როდრიგო პალასიო, დიეგო მილიტო, სამუელ ლონგო, ისაკ ბელფოდილი, მაურო იკარდი.*

**ახალგაზრდული გუნდიდან**: *ისაკ დონკორი, ლეონარდო ლონგო, პატრიკ ოლსენი, მორტენ კნუდსენი, ნიკოლო ბელონი, მატეო კოლომბი.*

იტალიურ სპორტულ პრესაში არაერთხელ ალინიშნა, რომ ასეთი არავარსკვლავური შემადგენლობა „ინტერს“ ათწლეულებია არ ჰყოლია და ეს რეალობა **ანტონიო კასანოს** „პარმაში“ გადასვლამ კიდევ უფრო გაამყარა. რაც მთავარია, ჯერჯერობით არაფერი ისმის იმის შესახებ, რომ მილანური გრანდის მესვეურები სატრანსფერო ბაზარზე გააქტიურებას და ექსტრაკლასის ფეხბურთელთა დამატებას აპირებენ. ექსპერტთა ნაწილმა „ინტერი“ უკვე ჩამოწერა სკუდეტოს მაძიებელთა რიგებიდან და მეტიც, გასული სეზონის შედეგის (მე-9 ადგილი) გაუარესება უწინასწარმეტყველა. ასეთი პროგნოზების კეთება ცოტა ნაადრევი კია, მაგრამ ალბათ არა უსაფუძვლო. **მასიმო მორატი** ღიად აცხადებს, რომ აქცენტს გუნდის გაახალგაზრდავებაზე აკეთებს და შესაბამისად, შეტევის ხაზში ისეთი ფეხბურთელების იმედზეა, როგორებიც იკარდი, ბელფოდილი და ლონგო არიან. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ შესწევთ კი ამ მოთამაშეებს ძალა, რომ მსოფლიო ფეხბურთის გრანდში უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლონ?

### მასიმო მორატი: ვერ შეგპირდებით

**ამ და სხვა საინტერესო თემებზე „კორიერე დელო სპორტს“ თვით კლუბის პრეზიდენტი მასიმო მორატი ესაუბრა...**

**- ეს ის „ინტერია“, რომელიც ახალ სეზონში დიდ მიზნებს შეეჭიდება?**

- მაგას დრო გვიჩვენებს, მაგრამ თუ ახალ სეზონში ყველა ტროფეი ვერ მოვიგეთ, ამით ქვეყანა არ დაიქცევა. ჩვენ ახალ გუნდს ვაშენებთ ახალ მწვრთნელთან ერთად და ეს პროექტი აუცილებლად წარმატებული იქნება.

**- სატრანსფერო ბაზარზე გააქტიურობას აპირებთ?**

- საინტერესო ფეხბურთელებს მუდმივად ვაკვირდებით და და რამდენიმე მიმართულებით ვმუშაობთ კიდეც. თუმცა, ვერ შეგპირდებით, რომ უახლოეს მომავალში ხმაურიან ტრანსფერებს გავჩარხავთ. მე უკვე კმაყოფილი ვარ იმ ტრანსფერებით, რომლებიც შედგა.

**- ალბათ ახალგაზრდა თავდამსხმელთა გადაბირებას გულისხმობთ...**

- იკარდი, ლონგო, ბელფოდილი; ამ ფეხბურთელებს დიდი მომავალი აქვთ და ბედნიერი ვარ, რომ „ინტერში“ ითამაშებენ. „ინტერის“ მომავალი ახალგაზრდებზე დგას და ეს აქამდეც არაერთხელ მითქვამს.

**- არ შიშობთ, რომ ასეთი შემადგენლობით გუნდი განწირულია წარუმატებლობისთვის?**

- როგორც უკვე აღვნიშნე, გუნდში ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდაა, რომლებიც გამოცდილ ვეტერანებთან ერთად, ერთ მთლიან მექანიზმს შექმნიან. გვყავს მწვრთნელი, რომელსაც ბოლომდე ვენდობით. არ ვჩქარობთ, რადგან გუნდი ეტაპობრივად უნდა განვითარდეს.

**- ბევრი მიიჩნევს, რომ ანტონიო კასანოს გაშვება შეცდომა იყო...**

- როგორც უკვე ალვნიშნე, გუნდს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს, რომელიც აირჩევს კიდეც მოთამაშეებს. პირადად მე, კასანოს თამაში ყოველთვის მხიბლავდა და „პარმაში“ დიდ წარმატებებს ვუსურვებ. მაცარიმ თავისი არჩევანი გააკეთა და დანარჩენს დრო გვიჩვენებს.

მაცარიმ მართლაც გააკეთა თავისი არჩევანი და შეკრებაზე გასამგზავრებელ ფეხბურთელთა სიაში **მატიას სილვესტრი** და **ესეკილ სკელოტო** არ შეიყვანა. სკელოტო „ატალანტას“ საკუთრებაა და ბერგამოში დაბრუნდება, სილვესტრი კი „პალერმოს“ ეკუთვნის და შესაბამისად, სიცილიაზე გადაბარგდება. მაცარის ამგვარი გადაწყვეტილება არავის გაკვირვებია, რადგან ვერც სილვესტრიმ და ვერც სკელოტომ თავი ვერაფრით წარმოაჩინეს, მათი გამოსასყიდი თანხა კი ერთად 15 მილიონ ევრომდე იყო. მართალია, ესეკილმა მილანურ დერბიში გაიტანა, მაგრამ ერთი გოლით „გაზაფხულს ვერ მოიყვანდა“.

აქვე ვთქვათ, რომ გაურკვეველი მიზეზების გამო, „ნერაძურიმ“ უარი თქვა ტრადიციულ ტურნირში მონაწილეობაზე, რომელსაც „ტროფეო ტიმი“ ეწოდება და რომელშიც აქამდე „მილანი“, „ინტერი“ და „იუვენტუსი“ მონაწილეობდნენ. ტურნირის ორგანიზატორებმა უკვე განაცხადეს, რომ მილანური გრანდის ნაცვლად, გათამაშებაში სერია A-ში ალზევებული „სასუოლო“ ითამაშებს.

უახლოეს დღეებში, „ინტერის“ სანვრთნელი ციკლის მთელი პროგრამა გამოცხადდება და იმასაც გავიგებთ, ვისთან დაგეგმეს მილანელებმა ამხანაგური მატჩები.

## ამბები

### ლაციოს ახალი ათიანი

როგორც ადრე ვიუწყებოდით, „ლაციოს“ მესვეურებმა ბრაზილიურ „სანტოსთან“ შეთანხმებას მიაღწიეს და 20 წლის **ფელიპე ანდერსონი** თავისთან ნაიყვანეს. „ბიანკოჩელესტეში“ 20 წლის შემტევი ნახევარმცველი 10 ნომრით იასპარეზებს, რაც მასზე გაცემულ უდიდეს ავანსს ნიშნავს. რომაელებს ტრანსფერი 8.5 მილიონი ევრო დაუჯდათ, ფეხბურთელთან კი 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმეს. ფელიპე „სანტოსში“ 2010 წელს ჩაირიცხა, 59 მატჩი გამართა და 7 გოლი გაიტანა. მის ანგარიშზე 3 შეხვედრაა ბრაზილიის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში. ანდერსონის ტრანსფერზე მოკლე კომენტარი „ლაციოს“ სპორტულმა დირექტორმა **იგლი ტარემ** გააკეთა:

*„ფელიპეს გადაბირება ბევრს სურდა, მაგრამ თავად ფეხბურთელმა არჩევანი „ლაციოზე“ შეაჩერა. ბრაზილიელი გუნდს მნიშვნელოვნად გააძლიერებს და მჯერა, რომ გაცემულ ავანსებს სრულად გაამართლებს. ანდერსონი უნივერსალური თვისებების ფეხბურთელია და თანაბარი წარმატებით შეუძლია თამაში როგორც ფლანგზე, გარემარბად, ისე ცენტრში. დარწმუნებული ვარ, იტალიურ ფეხბურთთან ადაპტაცია არ გაუჭირდება“.*

### ჟერვინიო ოსვალდოს შემცვლელად?

**პაბლო დანიელ ოსვალდო** „რომას“ დატოვებს და მომდევნო სეზონიდან სხვა გუნდში გაირჯება, სავარაუდოდ „ტოტენჰემში“. ოსვალდოს შემცვლელი სჭირდება და თუ „გაძეტა დელო სპორტს“ დავუჯერებთ, დედაქალაქელებმა **ჟერვინიოს** დაადგეს თვალი. 26 წლის კოტდივუარელი „არსენალის“ ღირსებას იცავს, იქამდე კი ფრანგულ „ლილში“ „რომას“ ამჟამინდელი მწვრთნელის **რუდი გარსიას** თავკაცობით ასპარეზობდა. ფრანგულ გუნდში აფრიკელი ბრწყინვალე იყო და ამიტომაც გადაბარგდა ინგლისში, მაგრამ იქ უკვე თავის გამოჩენა გაუჭირდა.

ავტორიტეტული გამოცემის მტკიცებით, რომაელები მზად არიან 26 წლის შემტევის სანაცვლოდ 10 მილიონი ევრო გადაიხადონ, საბოლოო სიტყვა კი ლონდონელებზეა. ითქვა ისიც, რომ თავად ჟერვინიომ მზადყოფნა გამოთქვა კარიერა იტალიაში გააგრძელოს.

ამასობაში, ჟურნალისტებს „რომას“ კაპიტანი **ფრანჩესკო ტოტი** გაესაუბრა და მომდევნო სეზონზე ისაუბრა: *„გასული სეზონი ერთ-ერთი ყველაზე რთული იყო ჩვენთვის, რომელიც კოშმარულად დასრულდა. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ რევანში ავიღოთ და ჩვენი გულშემატკივრები გავახაროთ. იმედია, რუდი გარსია მალევე აუღებს ალღოს იტალიურ ფეხბურთს და გუნდი ჩემპიონატის სტარტს მომზადებული შეხვდება“.*

### ჟულიო სეზარი ნაპოლის უახლოვდება

საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა იტალიურ სპორტულ პრესაში, რომლის მიხედვითაც, დიდია შანსი, **ჟულიო სეზარი** „ნაპოლიში“ გადაბარგდეს. 33 წლის მეკარეს აქამდე „რომაში“ უწინასწარმეტყველებდნენ გადასვლას, მაგრამ ვითარება რადიკალურად შეიცვალა. „კორიერე დელო სპორტის“ მტკიცებით, ნეაპოლელები თავად მეკარეს შეეხმიანენ და მანაც მზადყოფნა გამოთქვა, კონტრაქტი ერთ-ერთ ყველაზე ამბიციურ იტალიურ კლუბთან გააფორმოს.

შეგახსენებთ, რომ ჟულიო სეზარი „ქუინს პარკ რეინჯუერსის“ წევრია, სადაც ერთი სეზონი დაჰყო და პრემიერლიგიდან ჩემპიონშიპში დაქვეითდა. ბრაზილიის ნაკრების კარის დარაჯმა არაერთგზის განაცხადა, რომ „ქუინს პარკში“ გაჩერებას არ აპირებს და იტალიაში დაბრუნების დიდი სურვილი აქვს.

აქვე ვთქვათ, რომ ბოლო წლებში „ნაპოლის“ ნომერი პირველი მეკარე **მორგან დე სანქტისია**, რომელიც უკვე 36 წლისაა. გასულ სეზონში, დე სანქტისმა რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვა, კონფედერაციათა თასის წინ კი იტალიის ეროვნულ ნაკრებს გამოეთხოვა, სადაც წლების განმავლობაში **ჯანლუიჯი ბუფონის** დუბლიორი იყო. როგორც ჩანს, მორგანის პოზიციები აღარც კლუბშია ძველებურად მყარი.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

N1 საავტომობილო ჟურნალი მსოფლიოში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ გია კაზანჯიანთან

# როცა გუნდიდან გიშვებენ, მიზეზიც უნდა გითხრან

## 16-წლამდელების 9 საკონტროლო



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

გია კაზანჯიანი

„დინამოს"ბაზაზე საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები 16-წლამდელთა კრებულს დაუპირისპირდა. ჭაბუკებისთვის ეს სეზონის მეხეთე მატჩი იყო. ისინი ლუქსემბურგსა და უნგრეთს ორ-ორჯერ დაუპირისპირდნენ. კადეტებმა კი პირველად ითამაშეს და მიუხედავად იმისა, რომ ორი წლით უფროსებთან 69:84 დამარცხდნენ, ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებიათ. თავად განსაჯეთ: პირველი ტაიმის შემდეგ 16-წლამდელები 43:41-ს იგებდნენ.

ჭაბუკთა მოსამზადებელ გეგმასა და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე მათ მეტოქეებს აქამდე არაერთხელ შევხეთ. კადეტებმა კი B დივიზიონისთვის მზადება ცოტა გვიან დაიწყეს... მატჩის დასრულების შემდეგ გავესაუბრეთ 16-წლამდელთა თავკაც **გია კაზანჯიანს,** რომელიც გასულ სეზონში „ოლიმპს" ხელმძღვანელობდა...

**- 18-წლამდელებთან მატჩს თქვენი გუნდისთვის რა მნიშვნელობა ჰქონდა?**

- ეს თამაში საჭირო იყო ყველა კანდიდატის გამოსაცდელად. მოგეხსენებათ, გუნდში ამჟამად 18 კალათბურთელი ვარჯიშობს და მათზე დასაკვირვებლად საკონტროლო შეხვედრები აუცილებელია. თუმცა ვერც იმას ვიტყვი, რომ კალათბურთელებს არ ვიცნობ. სეზონის მსვლელობისას ყველა კალათბურთელს ეძლეოდა 16-წლამდელთა ნაკრებში თამაშის საშუალება. ჩვენი გუნდი ხომ ჭაბუკთა ჩემპიონატში ასპარეზობდა.

**- უშუალოდ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევისთვის მზადება როდის დაიწყეთ?**

- 3 კვირა ფიზმომზადებაზე ვიმუშავეთ. მეხუთე დღეა, რაც „დინამოს" ბაზაზე შევიკრიბეთ და ბურთით ვემზადებით. ბიჭების გარჯით კმაყოფილი ვარ.

**- იყო დრო, კადეტთა ნაკრებში 210 სმ სიმაღლის ცენტრები იყვნენ...**

- მართალია, 210-ს გადაცილებული ერთი კალათბურთელიც არ გვყავს, მაგრამ საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივ გუნდებს თუ გადავხედავთ, ერთ-ერთი ყველაზე ტანმაღალი კადეტთა ნაკრებია.

**- „დინამოს" ბაზაზე როდემდე დარჩებით?**

- 12 ივლისს ტალინში გავემგზავრებით და მომდევნო ორ დღეს ამ ქვეყნის 16-წლამდელებთან ამხანაგურ თამაშებს ჩავატარებთ. 16 და 17 ივლისს ბულგარეთში მოგველის ასევე ორი შეხვედრა. ცხადია, ადგილობრივ კადეტებთან.

**- ოფიციალურ შეჯიბრებაზე 12 კალათბურთელი უნდა იახლოთ. შემადგენლობას როდის შეკვეცთ?**

- ესტონეთში გამგზავრებამდე შემადგენლობაში 15 კალათბურთელი დარჩება. ჯერჯერობით, წამსვლელთა ზუსტ სიას ვერ გეტყვით. ბულგარეთიდან დაბრუნების შემდეგ შეკრებისთვის ისევ „დინამოს" ბაზას მივაკითხავთ, შემდეგ კი ჰოლანდიაში გავემგზავრებით, სადაც ნიდერლანდების 16-წლამდე ნაკრებთან 29 და 30-ში ვითამაშებთ. იქიდან ბელგიის ქალაქ ლიეჟში საერთაშორისო ტურნირისთვის გადავალთ. შეჯიბრება 1-3 აგვისტოს გაიმართება და მასში ჩვენ გარდა ბელგია, პორტუგალია და შვეიცარია მიიღებენ მონაწილეობას.

**- გამოდის, რომ ევროშესარჩევამდე (8 აგვისტოს ბოსნიის დედაქალაქ სარაევოში დაიწყება) 9 საკონტროლო შეხვედრა გიწევთ.**

- ეს მატჩები ჩვენს კალათბურთელებს ძალიან წაადგებათ. გამოცდილებას მიიღებენ და ოფიციალური შეხვედრებისთვის სათანადოდ მოემზადებიან. სათამაშო პრაქტიკა ბევრს ნიშნავს. მინდა შემთხვევით ვისარგებლო და შესარჩევი ეტაპის კარგად დაგეგმვისთვის მადლობა გადავუხადო კალათბურთის ფედერაციას. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 16-წლამდელთა ნაკრების ბიჭები საქმეს პროფესიონალურად ეკიდებიან, ძალიან მონდომებულები, ერთ მუშტად შეკრულნი არიან, რაც შედეგზეც უნდა აისახოს.

**- საკლუბო თემაზე გადავიდეთ. გაწყდა, რომ „ოლიმპის" მთავარ მწვრთნელად აღარ იმუშავებთ...**

- 30 წელიწადია კალათბურთში ვარ და იგი ჩემი ცხოვრების ნაწილად იქცა. ძალიან მიყვარს სპორტის ეს სახეობა, მაგრამ საპირისპიროდ - არ მიყვარს უსამართლობა. მწვრთნელის პროფესია ასეთია - მუდამ ჩემოდნებზეა, ხან ერთ გუნდშია, ხან - მეორეში, მაგრამ როცა გუნდიდან გიშვებენ, საჭიროა აგიხსნან, რატომ.



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

კადეტთა ნაკრების წევრები 18-წლამდელებთან მატჩისას

**- ცვლილებამდე გუნდის მფლობელებთან („ოლიმპს" სპორტის სამინისტრო აფინანსებს - ავტ.) არ გილაპარაკიათ?**

- ორი წელიწადია გუნდი არსებობს, მენეჯერმა გივი სანაძემ და მე დიდი შრომა ჩავდეთ და უბრალოდ საწყენია, როცა გადმოცემით ვუგებთ, რომ გუნდში აღარ ვართ. ხომ შეიძლებოდა, შეგვხვედროდნენ და ეთქვათ - ამა და ამ მიზეზის გამო, მწვრთნელის შეცვლა გადავწყვიტეთო?!

**- იქნებ, შედეგით იყვნენ უკმაყოფილო?**

- შედეგზე არც მანამდე ყოფილა ლაპარაკი. „ოლიმპს" არსებობის ორწლიან ისტორიაში ურიგო მიღწევები არ ჰქონია. ორჯერ სუპერლიგაში დავიკავეთ მეორე ადგილი, მოვიგეთ სუპერთასი და ქორქია-საკანდელიძის მემორიალი.

**- სუპერლიგის ფინალური სერია საინტერესო გამოვიდა.**

- ფინალში 3:2 დავმარცხდით. მას მერე ხშირად მიფიქრია „შსს აკადემიასთან" დაპირისპირებებზე. გული მწყდება, რომ მიზანს ვერ მივაღწიეთ. ძალიან ცოტა დაგვაკლდა. ფინალში მართლაც თანაბარი გუნდები შევხვდით.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

საზაფხულო ლიგა




თორნიკე შენგელია და ბრუკლინის მწვრთნელი ჯეისონ კიდი

# პასები უნდა გენახათ...

საქართველოს ნაკრების ფორვარდმა **თორნიკე შენგელიამ** ორლანდოს საზაფხულო ლიგაზე მეორე მატჩი ჩაატარა. მისი „ბრუკლინის" მეტოქე „მაიამი ჰიტი" იყო. ბრუკლინელებმა ამჯერადაც წააგეს - 86:93.

თორნიკე კვლავ სასტარტო ხუთეულში იყო, მართალია ქულა-მოხსნებით თვალი ვერ მოგვჭრა, მაგრამ ბრუკლინელი ჟურნალისტის კომპლიმენტი კი დაიმსახურა: სტატისტიკაში არ ჩანს, თუმცა შენგელიამ დაცვაში დიდი მოცულობის სამუშაო შეასრულა. რამდენჯერმე ლამაზადაც შეუტია, ხოლო მისი პასები ცალკე აღნიშვნას იმსახურებს.

მოკლედ, 207 სმ სიმაღლის ქართველის მონაგარი ასეთი იყო: 25 წუთი, 6 ქულა, 4 პასი, 1 ჩაჭრა, 2 დაფარება. თოკომ 6-დან 2 ორქულიანი, 4-დან 2 საჯარიმო გამოიყენა. 2 სამქულიანი ტყორცნა კი მიზანს ასცდა. „ბრუკლინ ნეთსის" ბომბარდირი 25 ქულით **ტაიშონ ტეილორი** გახდა.

დღეს შენგელიას გუნდი ორლანდოს საზაფხულო ლიგაზე „იუტას" შეეჭიდება.

# ევროპის ჩემპიონატი U20

ესტონეთი. 9-21 ივლისი

# რადოსავლიევიჩი, საქართველო და გამარჯვებული გერმანია



**9 ივლისი**

**ტალინი. ესტონეთი**

**საქართველო-გერმანია 75:89**

**15:23, 14:24, 22:23, 24:19**

**საქართველო:** ორმოცაძე (12 წთ), რამიშვილი (12 წთ, 7ქ), ო. ფხაკაძე (20 წთ, 3მ), თ. ფხაკაძე (6 წთ), გრძელიძე (4 წთ), მიქელაძე (31 წთ, 19ქ, 4ვ), კვანტალიანი (29 წთ, 15ქ, 3მ), ცირეკიძე (25 წთ, 8ქ, 8მ), როგავა (25 წთ, 10ქ, 4მ, 2ვ), გელაზონია (20 წთ, 6ქ, 5ფ), ჯინჭარაძე (17 წთ, 10ქ, 5ფ).

**გერმანია:** ბრასე (16ქ), ტოლკსდორფი (14ქ), ოგბე (15ქ), რადოსავლიევიჩი (25ქ, 7მ, 4ვ)...

**ლიტვა-სერბეთი 68:64**

ვინ არის **ბოგდან რადოსავლიევიჩი?** - სერბული წარმოშობის გერმანიის ნაკრების ლიდერი, რომლის სიმაღლე 213 სმ-ია. მას არც კლასი აკლია და ქართველი კალათბურთელები აიძულა, მის წინააღმდეგ წესები 9-ჯერ დაერღვიათ. ტანმაღალმა ბოგდანმა 25 ქულა ჩააგდო და გერმანელთა გამარჯვებაში ლომის წვლილი შეიტანა.

სწორედ სიმაღლე იყო, რაც ქართველებს გუშინ აკლდათ. ჩვენი ტექნიკური კალათბურთელები ფარქვეშ ინდივიდუალურად შესვლას არიან მიჩვეულები, მაგრამ გერმანელთა სამწამიან ზონაში შეღწევა მთლად რაიხსტაგზე ასვლასავით არა, მაგრამ მაინც რთული აღმოჩნდა. თავად განსაჯეთ: სამწამიანი ზონიდან ჩვენმა გუნდმა 26 ქულა ჩააგდო, საკუთარ კალათში კი ამ ზონიდან 56 ქულა მიიღო. გერმანელებმა სულ 89 ქულა ჩააგდეს და თუნდაც ამ სტატისტიკიდან ჩანს, რა იყო მათი „წარმატების გასაღები".

პირველი ტაიმის 29:47 წაგების შემდეგ ქართველთა დამრიგებელმა **დავით უსტიაშვილმა** სტრატეგია შეცვალა და რაც უფრო მეტად ახლოვდებოდა ფინიში, მით მეტი სამქულიანი ვარდებოდა ალემანების კალათში. თუმცა 10 სამიანი (26 მცდელობიდან) გამარჯვებას რომ არ ეყო, საფინალო ანგარიშიდანაც ჩანს.

ქართველთაგან ყველაზე მეტი, 31 წუთი ითამაშა და ყველაზე მეტი, 19 ქულა ჩააგდო პლეიმეიქერმა **ირაკლი მიქელაძემ.** ვიცე-სნაიპერი **ლერი კვანტალიანი** გახდა (15 ქულა), ხოლო **რევაზ როგავამ** და **კახა ჯინჭარაძემ** მატჩი 10-10 ქულით დაასრულეს.

საქართველოს ნაკრები დღეს ისვენებს, 11 ივლისს კი ლიტვასთან თბილისის დროით 19 საათზე ითამაშებს. ბალტიისპირელებს 210 და 213 სმ სიმაღლის ორი ცენტრი ჰყავთ. რადგან ნაკრებში მოხვდნენ, ურიგო მეფარეები არ უნდა იყვნენ და საინტერესოა, რას დაუპირისპირებს მათ დავით უსტიაშვილი. იქნებ, თავიდანვე პერიმეტრზე გააკეთოს აქცენტი? დაველოდოთ 11 ივლისს.

**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო სამძიმარს უცხადებს ამავე სამინისტროს სპორტის დეპარტამენტის მასობრივი სპორტისა და ღონისძიებების სამმართველოს უფროს ვლადიმერ ნუცუბიძეს დედის გარდაცვალების გამო.**

***პანაშვიდი:*** 10.VII, ბახტრიონის 28. გამოსვენება 11.VII, 15 სთ; ანტონ მარტყოფელის ეკლესიიდან (იპოდრომთან).

ძიუდო. ნაკრები

# მოსკოვური შემადგენლობა გაცხადდა

საქართველოს ვაჟ ძიუდოისტთა ნაკრებმა გუშინ დაასრულა შეკრება ბაკურიანში, რომელიც მთლიანად ფიზიკურ მომზადებას ეთმობოდა. გუნდი უკვე დაბრუნდა თბილისში და მთავარმა მწვრთნელმა **ირაკლი უზნაძემაც** დაასახელა ის შემადგენლობა, რომელიც 20-21 ივლისს მოსკოვში „დიდ მუზარადზე" იასპარეზებს: **ამირან პაპინაშვილი** (60), **შალვა ქარდავა**, **ტრისტან ფეიქრიშვილი** (ორივე – 66), **ზებედა რეხვიაშვილი** (73), **ლევან წიკლაური** (81), **ზვიად გოგოჭური** (90), **ნოდარ მეტრეველი**, **ვალერი ლიპარტელიანი** (ორივე – 100), **ადამ ოქრუაშვილი**, **ლევან მატიაშვილი** (+100).


ირაკლი უზნაძე

ბაკურიანში განვლილმა შეკრებამ, უფრო კი მისმა ტიპმა დიდი გავლენა მოახდინა ამ შემადგენლობის დაკომპლექტებაზე – ფიზიკური ვარჯიშების შემდეგ პირდაპირ ტურნირზე გამოსვლა და ჭიდაობა არაა რეკომენდებული, რადგან ორგანიზმს დასვენება, ადაპტაცია სჭირდება. ამიტომ უზნაძემ ამჯერად დაასვენა რამდენიმე ლიდერი, რომლებსაც სასტარტო პრაქტიკა არ უნდათ – **ნუგზარ ტატალაშვილი** (73), **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81). მწვრთნელი წონას არ აკლებინებს ლიპარტელიანს, რომელიც ამჯერად 100-ში იასპარეზებს... ზოგიერთ შემთხვევაში, ამ ყველაფერს სარეიტინგო რეალობაც ემატება – ზოგს მოწინავე ოქტეტში დასამკვიდრებლად ქულათა მარაგის შევსება სჭირდება, რათა განთესილთა შორის მოხვდეს. მაგალითად – წიკლაურს. ჩვენებს რეიტინგში კარგი პოზიციები კი უჭირავთ, მაგრამ, მოგეხსენებათ, ეს სიები მუდმივად იცვლება – ზოგს უნახევრდება გარკვეული ტურნირის ქულები, ზოგს სულაც უნულდება, რაც საერთო მაჩვენებელზეც ახდენს გავლენას. ჩვენებურთა პოზიციებიც ზოგან ამიტომ შეირყა, თუმცა არსებობს დაუზუსტებელი ინფორმაცია, რომ მსოფლიოს წლევანდელ პირველობაზე განითესება არა ძველებურად 8, არამედ 16 სპორტსმენი, თუმცა ამ ინფორმაციაზე თავს ვერ დავდებთ.

როგორც ხედავთ, მოსკოვში არც ევროპისა და ოლიმპიური ჩემპიონი **ლაშა შავდათუაშვილი** (66) იჭიდავებს. ამის მიზეზი ზემოჩამოთვლილებთან ერთად ლამის მოშუშებული ტრავმაცაა. მოგეხსენებათ, მას საზარდული აწუხებს, რაც ძირითადად კი მოგვარდა და ჩემპიონს თავს უმნიშვნელოდ ახსენებს, მაგრამ გარისკვად არ ღირს.

საბედნიეროდ, ბაკურიანულმა შეკრებამ ტრავმების გარეშე ჩაიარა და ყველამ ნაყოფიერად ივარჯიშა შავდათუაშვილის ჩათვლით. უზნაძე კმაყოფილია მზადების ამ ეტაპით. ახლა გუნდი ერთი კვირით თბილისში ივარჯიშებს, მხოლოდ გორელები მოემზადებიან საკუთარ ქალაქში, 18 ივლისს კი ნაკრები მოსკოვში გაფრინდება.

მოსკოვური ტურნირი ბოლო დიდი შესარჩევ-საკონტროლო შეჯიბრებაა აგვისტო-სექტემბრის მიჯნაზე ბრაზილიურ რიო დე ჟანეიროში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის (ყოველ შემთხვევაში, ჩვენებისთვის ნამდვილად ასეა), რაც მის მნიშვნელობას ზრდის. მოსკოვში პირველ სასტარტო დღეს – 20 ივლისს ვაჟებიდან 60, 66 და 73 კილოგრამების ფალავნები იჭიდავებენ, დანარჩენები კი მეორე დღეს გავლენ ტატამზე. მოსკოვიდან ჩვენი ნაკრები სოჭში გადაინაცვლებს, სადაც 24 ივლისს ევროპული ფედერაციის მიერ ორგანიზებული საწვრთნელი კემპი დაიწყება. ზემოდასახელებულ შემადგენლობას იქ ნაკრების შინ დარჩენილი წევრებიც დაემატებიან – შავდათუაშვილი, ტატალაშვილი და ჭრიკიშვილი.

**ირაკლი თავაძე**

ავტორის ფოტო

მხატვრული ტანვარჯიში



პირველ საფეხურზე სალომე ურუშაძე

# სალომე ურუშაძის ხუთი ჯილდო

სინგაპურმა მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა აზიის ღია პირველობას უმასპინძლა. შეჯიბრებაში 10 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, მათ შორის ახალგაზრდები. აზიელებს მეტოქეობას უწევდა 14 წლის **სალომე ურუშაძე.** თბილისელმა თანმოვარჯიშემ თავის მე-5 საერთაშორისო ტურნირში ხუთი მედალი მოიხვეჭა. 19 მეტოქესთან პაექრობისას ჩვენებურმა მრავალჭიდში 48.552 ქულით მეორე ადგილი დაიკავა. სალომეს 4.322 ქულით მასპინძელმა ტონგ რაპ ნუნმა გაუსწრო, 45.849 ქულით მესამე ადგილი სინგაპურელ დან შუ იუნს ერგო.

ცალკეული საგნებით ვარჯიშში სალომე ურუშაძე ოთხჯერ ავიდა კვარცხლბეკზე: ლენტით (13.500 ქულა) პირველი იყო, რგოლით (11.850), ბურთითა (12.850) და გურზებით (13.600) ვარჯიშში კი მეორე ადგილები დაიკავა.

**ვაჟა დანელია**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატუტზე ხტომა

# აჭარის თასზე


გამარჯვებულები და პრიზიორები

ბათუმში ადგილობრივი თვითმმართველობის ხელშეწყობით სასპორტო სკოლის ტანვარჯიშულ სახეობათა დარბაზში მეოთხედ გათამაშდა ბატუტზე მხტომელთა აჭარის თასი. სამ ასაკში მასპინძლების, თბილისისა და ქუთაისის 45 წარმომადგენელი მონაწილეობდა. ორდღიანი პაექრობების შემდეგ კვარცხლბეკზე ავიდნენ:

**10-წლამდელები. გოგონები.** 1. მეგი ფარულავა (თბილისი), 2. ლიანა ფოთელიძე (ბათუმი), 3. მარი ხელაძე (თბილისი). **ბიჭები.** 1. თამაზ ლომსაძე, 2. ნიკოლოზ შახბაზიანი (ორივე - თბილისი), 3. თორნიკე თვალავაძე (ქუთაისი).

**14-წლამდელები. გოგონები.** 1. ქრისტინე სორდია, 2. ნუცა ჭკუასელი, 3. მარიამ გუთნიაშვილი (სამივე - თბილისი). **ბიჭები.** 1. გიორგი ავლოხაშვილი, 2. გიორგი ნაცვლიშვილი (ორივე - თბილისი), 3. თორნიკე ბარბაქაძე (ქუთაისი).

**1996-98 წლებში დაბადებულები. გოგონები.** 1. თეონა ჯანჯღავა (თბილისი), 2. თამუნა გვიანაძე (ბათუმი), 3. ბარბარა ბალათურია (ქუთაისი). **ვაჟები.** 1. ლაშა გაბაშვილი, 2. ირაკლი ბეიტრიშვილი, 3. ზურაბ ნოზაძე (სამივე — თბილისი).

შეჯიბრების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, ბატუტზე ხტომაში მსოფლიოს თასის მრავალგზის ფინალისტმა ზურაბ ჭყონიამ განაცხადა, რომ მომავალი წლიდან „აჭარის თასი“ საერთაშორისო ტურნირი გახდება და მასში, სულ მცირე, ოთხი ქვეყნის წარმომადგენლებს მოიწვევენ.

**ვაჟა დანელია**

*ირმა სოლოღაშვილის ფოტო*

ჩოგბურთი

# გამარჯვებით დაიწყეს

უნგრეთის დედაქალაქში დაიწყო ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირის საპრიზო ფონდი 235.000 დოლარი). ქართველმა ჩოგბურთელმა **ანა ტატიშვილმა** პირველი წრე საათსა და 13 წუთში გადალახა - „უაილდ ქარდით“ მიწვეულ მასპინძელს - რეკა-ლუკა იანის 6:3, 6:4 სძლია, რითაც საკუთარ მონაგარს 30 სარეიტინგო ქულა შესძინა. ჩვენებური მეორე წრეში **შაჰარ პეერს** (ისრაელი) გაუწევს მეტოქეობას. ამ უკანასკნელმა შვეიცარიელ ქსენია კნოლს აჯობა - 6:2, 6:2. ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო კლასიფიკაციით ტატიშვილი ამჟამად 101-ეა, პეერი 162-ე ადგილზეა, არადა, 2011 წლის იანვარში მე-11 საფეხური ეკავა.

ფრანგულ ბიარიცში (ტურნირის საპრიზო ფონდი 100.000 დოლარი) ერთეულთა თანრიგში **სოფიო შაფათავას** სასტარტო მარცხზე ფრანგ ლაურა ტორპესთან უკვე გაუწყეთ. თბილისელმა ჩოგბურთელმა გუშინ წყვილებში იყოჩაღა: ბულგარელ ალექსანდრინა ნაიდენოვასთან შეამხანაგებულმა ორ სეტში სძლია ტურნირზე „უაილდ ქარდით“ მიწვეულ ფრანგებს - ირინა რამიალისონსა და კოსტანცა სიბილეს. ჩვენებურს ტორპესთან რევანშის შანსი მიეცა, რადგან ფრანგმა ჩოგბურთელმა ლიხტენშტეინელ შტეფანი ფოგთან ერთად პირველ ნომრად განთესილ მანდი მინელას (ლუქსემბურგი) და ალექსანდრა პანოვის (რუსეთი) დუეტს დაძაბულ პაექრობაში აჯობა - 6:7, 7:6, 10:8 და მეოთხედფინალში გავიდა, სადაც ქართველი დახვდება.

შეგახსენებთ, რომ სტამბოლის 25-ათასიან ტურნირში ცდის ძალებს თბილისელი **ოქსანა კალაშნიკოვა.** პირველ წრეში მან მასპინძელი იპეკ სოილუ დაჯაბნა. მეორეში მას ზუზანა ზლოჩოვა (სლოვაკეთი) გაუწევს წინააღმდეგობას.

თურქეთში ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) მონაწილეობს **ალექსანდრე მეტრეველი,** რომელმაც ძირითადი ბადის სტარტზე რუსი ანტონ ნანეგინი დაამარცხა და მეთექვსმეტედფინალში ტურნირის რეიტინგფავორიტ ჟიულ მარისა (საფრანგეთი) და ჰენრიკე კუნიას (ბრაზილია) შორის უძლიერესს შეხვდება. ამავე ტურნირში ასპარეზობდა **გიორგი ცივაძე,** რომელმაც წარმატებით დასძლია საკვალიფიკაციო ეტაპი - ორ მეტოქეს აჯობა ძირითად ბადეში კი პირველივე შეხვედრა დათმო კოსტინ პავალთან (რუმინეთი) - 6:7, 1:6.

წყვილებში მეტრეველისა და ცივაძის დუეტი კოსტინ პავალისა და დავით სოფაურის (ავსტრალია) ტანდემთან დამარცხდა - 6:7, 4:6.


ანა ტატიშვილი

**ვაჟა დანელია**

სუმო. ნაგოიას ბაშო. 7-21 ივლისი


ლევან გორგაძე (მარჯვნივ)

# ტოჩინოშინის ზედიზედ მეორე გამარჯვება

ნაგოიას ბაშოზე ზედიზედ მესამე მარცხი იწვნია **თეიმურაზ ჯუღელმა** (**გაგამარუ**). მძიმეწონოსანი ქართველი ოძეკი **კოტოშოგიკუსთან** დამარცხდა. გაგამარუს 0-3 ბალანსი აქვს.

ჯუღელის მომდევნო მეტოქე დიდი ჩემპიონი **ჰარუმაფუჯია**, ვისაც წინა ხუთი დაპირისპირებიდან ერთი მოუგო.

სამაგიეროდ, კარგად ასპარეზობს **ლევან გორგაძე** (**ტოჩინოშინი**). მან იორიკირის ილეთით დაამარცხა **დაიდო.** ლევანს 2-1 ბალანსი აქვს და მისი მომდევნო მეტოქე **სადანოფუჯია** (4:1 ურთიერთშეხვედრებში).

**III დღე**

(**მნიშვნელოვანი ბრძოლები**): ჰაკუჰო-ტაკეკაძე (ჰატაკიკომი), ტაკაიასუ-ჰარუმაფუჯი (უვატეჰინერი), კაკურიუ-ტოკიტენკუ (ცუკიდაში), კოტოოშუ-გოეიდო (კოტენაგე), ტოჩიოძანი-კისენოსატო (ცუკიოტოში), კოტოშოგიკუ-**გაგამარუ** (იორიტაოში), მიოგირიუ-შოჰოზანი (ოშიდაში), **ტოჩინოშინი**-დაიდო (იორიკირი).

**III დღე**

(**მნიშვნელოვანი წყვილები**): **გაგამარუ**-ჰარუმაფუჯი, ჰაკუჰო-ტოჩიოძანი, კოტოოშუ-ტაკეკაძე, კისენოსატო-შოჰოზანი, კოტოშოგიკუ-ჩიიოტაირიუ, კაკურიუ-მიოგირიუ, გოეიდო-ტოკიტენკუ, **ტოჩინოშინი**-სადანოფუჯი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სპორტი და სახელმწიფო

# საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტები ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სფეროში (2014-2018 წლები)

*დასაწყისი იხ. „ლელო“ №159*

**1. დარგის ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის სრულყოფა**

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სფეროს განვითარების საქმეში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ნორმატიულ სამართლებრივი ბაზის განვითარება და სრულყოფა.

სამართლებრივი და მეთოდოლოგიური უზრუნველყოფის განვითარება ხორციელდება ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების შემუშავების გზით, რომელიც ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სფეროში არეგულირებს ურთიერთობებს, ადგენს კომპეტენციებს და კოორდინაციას უწევს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

სამართლებრივი და ნორმატიული ბაზის სრულყოფის სტრატეგია მდგომარეობს იმაში, რომ, გარდა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ასპექტებზე ფედერალური კანონმდებლობის შექმნისა და სრულყოფისა, საჭიროა აქტიური მონაწილეობა კანონშემოქმედებით საქმიანობაში, რათა აუცილებლობის შემთხვევაში შეტანილი იქნას ცვლილებები და დამატებები საქართველოს იმ კანონებში, რომლებიც გარკვეულწილად მოქმედებენ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარებაზე (საგადასახადო კოდექსი და სხვა).

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სფეროს კანონმდებლობის სრულყოფა ხელს უნდა უწყობდეს საბაზრო ურთიერთობების პირობებში დარგის დაფინანსებას არა მხოლოდ საბიუჯეტო, არამედ არასაბიუჯეტო წყაროებიდან, განსაკუთრებით უმაღლესი მიღწევების სპორტის მხარდასაჭერად.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია განხილულ იქნეს შესაძლებლობა, რომ ხელსაყრელი სამართლებრივი პირობები შეექმნას:

- ორგანიზაციებს, რომლებიც ახორციელებენ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარების პროგრამებს (განსაკუთრებით ბავშვებისა და მოზარდების) და პროგრამებს, რომლებიც ხელს უწყობენ ცხოვრების ჯანსაღი წესის ფორმირებას;
- სპონსორებს და ინვესტორებს, რომლებიც თავიანთ ფინანსებს მიმართავენ სპორტული რეზერვისა და ეროვნული ნაკრები გუნდების მომზადებაზე. დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება-სრულყოფაზე. ხარისხიანი ინვენტარისა და მოწყობილებების შეძენაზე. სპორტსმენებისა და მწვრთნელების მატერიალურ მხარდაჭერაზე;
- საინვესტიციო პოლიტიკის ფორმირებას და სრულყოფას, რომელიც ხელს შეუწყობს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებას;
- საზოგადოებრივი გაერთიანებების როლის ამაღლებას, რომელთა მოღვაწეობა მიმართულია სპორტის ცალკეული სახეებისა და სპორტსმენების სპორტული ოსტატობის დონის განვითარებაზე;
- სპორტის სახეობების მიხედვით სპორტული კლუბების, როგორც წამყვანი სპორტსმენების ოსტატობის დონის ამაღლების ძირითადი რგოლის, შექმნას და მუშაობის ორგანიზაციას.

**2. დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება და განვითარება**

- ქვეყანაში მატერიალურ ტექნიკური ბაზის განვითარება უნდა განხორციელდეს ორი მიმართულებით, მასობრივი სპორტისა და უმაღლესი მიღწევების სპორტისათვის;
- მოსახლეობის ფიზიკური ვარჯიშებით მეცადინეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით აუცილებელია სპორტული ნაგებობების რაოდენობის გაზრდა, სერვისის აუცილებელი დონის შექმნა და მოსახლეობის ფართო მასებისათვის ხელმისაწვდომობა;

> **უმაღლეს სპორტულ-საგანმანათლებლო სასწავლებლებში აღდგეს კათედრები და ფაკულტეტები, რომლებიც უზრუნველყოფენ სპეციალისტების მომზადებას სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის პროფილით სკოლამდელი, უმცროსი და საშუალო სასკოლო ასაკის, სპეციალური სამედიცინო ჯგუფების, ინვალიდებისა და პენსიონერებისათვის**

- სათანადო პირობების შექმნა ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების, ოლიმპიური რეზერვების მომზადების ცენტრების, ეროვნული ნაკრები გუნდების მწვრთნელ-მასწავლებლებისათვის, რომლებიც ახორციელებენ სპორტული რეზერვისა და ეროვნული ნაკრები გუნდების წევრებთან ძირითად მუშაობას. უნდა აშენდეს ახალი და რეკონსტრუირებულ იქნას არსებული სპორტული ბაზები და აღჭურვილ იქნას თანამედროვე ხარისხიანი ინვენტარითა და მოწყობილობებით;
- უზრუნველყოფილ უნდა იქნას ტიპური სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსების მშენებლობა ყველა რაიონულ ცენტრსა და ქალაქში. ქვეყნის ყველა რეგიონში აშენდეს თანამედროვე ისეთი სპორტული ნაგებობები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციებისა და ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდებისა და ცალკეული სპორტსმენის მოთხოვნებთან. ქ. თბილისში შეიქმნას ოლიმპიური მომზადების თანამედროვე სპორტული კომპლექსი და ბაკურიანში სპორტის ზამთრის სახეობების მომზადების ცენტრი.

**3. დარგის უზრუნველყოფა კვალიფიციური სპეციალისტებით**

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შემდგომი განვითარების საკითხების გადაწყვეტის, მოსახლეობაში ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში სისტემატური ჩაბმის მყარი ინტერესების ფორმირების, უმაღლესი რანგის საერთაშორისო შეჯიბრებებში, მათ შორის, ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიო და ევროპის პირველობებში გამარჯვების მიღწევისათვის უდიდესი როლი ენიჭება სპეციალისტის პროფესიული მომზადების ხარისხს და სამეცნიერო კვლევების განვითარების დონეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი


კრის კამანი

# ლეიკერსმა ენტონის დაუმიზნა

როგორც იცით, „ლოს ანჯელეს ლეიკერსმა“ ვერ შეინარჩუნა NBA-ის საუკეთესო ცენტრი **დუაიტ ჰოვარდი** და შესაბამისად, სახელფასო ბიუჯეტში თანხის სერიოზული ნაწილი გამოუთავისუფლდა. აქედან გამომდინარე, კალიფორნიული კლუბის ხელმძღვანელობა 2014 წლის ზაფხულში „ნიუ იორკ ნიქსის“ ვარსკვლავის **კარმელო ენტონის** ხელში ჩასაგდებად ბრძოლას აპირებს.

2013-14 წლების სეზონის დასრულების შემდეგ, „ნიქსის“ ფორვარდმა, შესაძლოა, გამოიყენოს კონტრაქტის ნაადრევად განყვეტის პუნქტი. ამით ის უარს იტყვის 24.4 მილიონ დოლარზე, რომელიც კონტრაქტით გათვალისწინებული ბოლო სეზონისთვის უნდა მიიღოს. თავის მხრივ, „ლეიკერსს“ შეუძლია ენტონის შესთავაზოს ოთხწლიანი კონტრაქტი, რომლის საერთო ღირებულება იქნება 100.5 მილიონი დოლარი, პირველ წელს კი ხელფასი 23.5 მილიონს შეადგენს.

...

ამასობაში ცნობილი გახდა, რომ „ლეიკერსმა“ კონტრაქტის დეტალები შეათანხმა ვეტერან ცენტრთან **კრის კამანთან**. ხელშეკრულება ერთწლიანია, თუმცა პრესისთვის უცნობი დარჩა ხელფასის ოდენობა.

2012-13 წლების სეზონში, კამანი „დალასის“ ღირსებას იცავდა და საშუალოდ 10.5 ქულასა და 5.6 მოხსნას აგროვებდა.

ასევე ირკვევა, რომ „ლეიკერსის“ ხელმძღვანელობა ფორვარდ **მეტა უორლდ პისის** კონტრაქტის გამოსყიდვასა და კალათბურთელის გუნდიდან გაშვებას აპირებს. ამგვარი სვლა კალიფორნიელებს 30 მილიონი დოლარის ეკონომიას მოუტანს.

## ფოიე იუტადან დენვერში

გაირკვა ფორვარდ **ანდრე იგუოდალას** „გოლდენ სტეიტში“ გადასვლის დეტალები. კერძოდ, განხორციელდება სამმაგი გაცვლა, რომლის მიხედვითაც, „უორიორზი“ მიიღებს იგუოდალას, შემტევი მცველი **რენდი ფოიე** „იუტადან“ „დენვერში“ გადავა, „ჯაზს“ კი „გოლდენ სტეიტისგან“ ერგება 2018 წლის დრაფტის მეორე რაუნდში არჩევის უფლება.

ამ გარიგების თანახმად, ფოიე მიიღებს სამწლიან და 9-მილიონიან კონტრაქტს, იგუოდალასთან კი გაფორმდება 4-წლიანი ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, კალათბურთელი 48 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს. ორივე მოთამაშის ტრეიდი განხორციელდება sign-and-trade-ის სქემით.

## უოლასი მწვრთნელობას იწყებს

გაზეთი The Detroit News-ის ცნობით, „დეტროიტ პისტონზის“ მოთამაშე **რაშიდ უოლასი** 2013-14 წლების სეზონში ამ გუნდის სამწვრთნელო შტაბში დაიკავებს ადგილს. როგორც იტყობინებიან, უოლასმა უკვე გამართა მოლაპარაკებები „პისტონზის“ ხელმძღვანელობასთან.

შეგახსენებთ, რომ გასულ ზაფხულს რაშიდმა მოთამაშის კარიერა განაახლა და სეზონი „ნიუ იორკ ნიქსის“ შემადგენლობაში ჩაატარა.

## უორიორზმა სპეიტსი დაიმატა

როგორც სააგენტო AP წერს, „გოლდენ სტეიტმა“ შეთანხმებას მიაღწია ცენტრ **მარის სპეიტსთან**. კონტრაქტის დეტალები პრესისთვის უცნობი დარჩა.

გასულ სეზონს სპეიტსი „კლივლენდის“ რიგებში ასრულებდა. მისი საშუალო სტატისტიკა 10.2 ქულასა და 5.1 მოხსნას უდრიდა.

## სპანულისი ოლიმპიაკოსში დარჩა

ევროლიგის საუკეთესო კალათბურთელი **ვასილის სპანულისი** კონტრაქტს გააგრძელებს თავის ამჟამინდელ კლუბთან, ბოლო ორი ევროლიგის გამარჯვებულ „ოლიმპიაკოსთან“.

ბერძენმა მცველმა შარშანდელ ტურნირზე 31 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ, 14.7 ქულა და 5.5 შედეგიანი გადაცემა დააგროვა. ფინალში მადრიდის „რეალის“ წინააღმდეგ, სპანულისმა 22 ქულა დააგროვა. 2012-13 წლების სეზონის დასრულების შემდეგ, გაჩნდა ჭორები იმის შესახებ, რომ მცველზე პრეტენზიას ცსკა და „ბარსელონა“ აცხადებდნენ, მაგრამ კალათბურთელმა ევროპის უძლიერეს კლუბთან ახალი ხელშეკრულების გაფორმება ამჯობინა.

*„ჩვენმა კლუბმა ძალიან მაღლა ასწია თამასა, როცა ბოლო ორი სეზონის განმავლობაში ქმნიდა ისტორიას და ახლა, უფრო დიდ სიმაღლეებს უნდა მივაღწიოთ. მეტი სათქმელი არაფერია - ბევრი მუშაობა გველის მოედანზე“*, - განაცხადა სპანულისმა.

ჩოგბურთი

# ჩოგბურთი, ქრისტიანობა და პაციფიზმი

## ენდი მარეიმ უიმბლდონის ბრიტანული წყევლა განდევნა

**ენდი მარეი** გახდა პირველი ბრიტანელი ჩოგბურთელი, რომელმაც უიმბლდონის მამაკაცთა ტურნირზე ბოლო 77 წლის განმავლობაში გაიმარჯვა. წინა ბრიტანელი, რომელმაც მთავარი საჩოგბურთო ტურნირი მოიგო, **ფრედ პერი** იყო, რომლის ქანდაკება დგას უიმბლდონის სტადიონზე. მან აქ მთავარი პრიზი 1936 წელს მოიგო, და მართალია, მას შემდეგ ინგლისსა და შოტლანდიაში ბევრი ძლიერი ჩოგბურთელი დაიბადა, მაგრამ მწვერვალს ვერც ერთმა ვერ მიაღწია. დღეს გავიხსენებთ გზას, რომლითაც ბრიტანული ჩოგბურთი უიმბლდონზე ნანატრი გამარჯვებისკენ მიდიოდა.

ლონდონურ კორტებზე ზედიზედ მესამე გამარჯვების შემდეგ (სწორედ 1936 წელს), პერიმ დაასრულა სამოყვარულო კარიერა და პროფესიონალებში გადავიდა. მაშინ უიმბლდონი სამოყვარულო ტურნირი იყო, ასე რომ, პერის მასში მონაწილეობა აღარ მიუღია. მისი წასვლის შემდეგ, ბრიტანეთის წამყვანი ჩოგბურთელი გახდა **ბარი ოსტინი**, რომელიც იმით არის ცნობილი, რომ მამაკაცებს შორის პირველმა ჩაიცვა მოკლე შარვალი (ადრე მამაკაცები გრძელი შარვლებით თამაშობდნენ).

1938 წელს, ოსტინმა უიმბლდონის ფინალამდე მიაღწია და განადგურდა ამერიკელ **დონ ბაჯისგან**. ერთი წლის შემდეგ, პროფესიონალებში წავიდა ბაჯი და ოსტინმა უიმბლდონზე განთესვის პირველი ნომერი მიიღო, წააგო მეოთხედფინალი, დაასრულა სპორტული კარიერა და აშშ-ში გაემგზავრა ქრისტიანობისა და პაციფიზმის მქადაგებლად. მომდევნო ჯერზე, ბრიტანელი უიმბლდონის ფინალში მხოლოდ 74 წლის შემდეგ გავიდა.

გასული საუკუნის 40-50-იან წლებში საუკეთესო ბრიტანელი ჩოგბურთელი იყო **ტონი მოტრემი**, მაგრამ უიმბლდონზე მეოთხედფინალზე შორს არ გასულა (და სხვა ტურნირებზეც ვერ ბრწყინავდა). **მაიკ სანგსტერმა** უფრო ბევრს მიაღწია. 1961 წელს, ეს ჩოგბურთელი (მაშინ მხოლოდ 20 წლის იყო) ნახევარფინალამდე მივიდა, სადაც წააგო ამერიკელ **ჩაკ მაკინლისთან**. თავის მხრივ, მაკინლი ფინალში დამარცხდა ავსტრალიელ **როდ ლეივერთან**. მაშინ ავსტრალიელები დომინირებდნენ ჩოგბურთში და ხშირად, უიმბლდონის ფინალებში ამ ქვეყნის წარმომადგენლები ხვდებოდნენ.

1964 წელს გარდაიცვალა სანგსტერის მწვრთნელი (სხვათა შორის, ავსტრალიელი) და ამის შემდეგ, ჩოგბურთელი ძველ დონეზე ველარ დაბრუნდა. ბრიტანული ჩოგბურთის ახალი იმედი გახდა როჯერ ტეილორი – 70-იანი წლების დასაწყისის ვარსკვლავი. უიმბლდონზე მან სამჯერ მიაღწია ნახევარფინალამდე, მაგრამ მოგებამდე კიდევ ორი ნაბიჯის გადადგმა ვერაფრით მოახერხა.

ტეილორის წასვლის შემდეგ, ბრიტანელ გულშემატკივრებს დიდხანს მოუწიათ ახალი კერპის ლოდინი. **ჯონ ლოიდი**, რომელიც 1977 წელს ავსტრალიის ღიას ფინალამდე მივიდა, უიმბლდონზე ვერ ბრწყინავდა. **ჯერემი ბეიტსმა** 1987 წელს, თანამემამულე **ჯო დიურისთან** ერთად მოიგო უიმბლდონი მიქსტში, მაგრამ ერთეულებში გამარჯვებაზე ბეიტსი ვერც კი ოცნებობდა.

ბრიტანული ჩოგბურთის მორიგ პროგრესს 90-იანი წლების შუაში ჰქონდა ადგილი, როცა მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშეების დონეზე გავიდნენ **გრეგ რუსედსკი** და **ტიმ ჰენმანი**. 1997 წელს, ორივემ უიმბლდონის მეოთხედფინალამდე მიაღწია, მაგრამ ორივემ წააგო. რუსედკსიმ მალე დათმო პოზიციები – ცხადი გახდა, რომ ბრიტანულმა პრესამ აშკარად გადააფასა ამ მოთამაშის შესაძლებლობები. სამაგიეროდ, ჰენმანს შეეძლო მოეხსნა უიმბლდონზე ბრიტანული წყევლა – ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობდნენ მის სამშობლოში.

ჰენმანი ოთხჯერ თამაშობდა უიმბლდონის ნახევარფინალში (ოთხივე წააგო). ამ ეტაპზე ყველაზე საინტერესო გამოდგა 2001 წლის შეხვედრა, რომელშიც ჰენმანი **გორან ივანიშევიჩს** ხვდებოდა. თამაში პარასკევს დაიწყო. ჰენმანმა მოიგო სამიდან ორი სეტი და ახლოს იყო იმასთან, რომ ოთხ პარტიაში დაესრულებინა ყველაფერი. მაგრამ, ლონდონში გაწვიმდა და მატჩი შაბათისთვის გადაიტანეს. ამ პაუზამ ივანიშევიჩს ძალები დაუბრუნა და მატჩის განახლების შემდეგ, მეოთხე სეტი ტაიბრეიკზე მოიგო. მეხუთე სეტს ჩოგბურთელები უკვე კვირას ასრულებდნენ (ისევ ამინდი ჩაერია საქმეში). ივანიშევიჩმა მაინც გატეხა ბრიტანელის წინააღმდეგობა და შემდეგ ფინალიც მოიგო. *„ღმერთმა წვიმა გამომიგ ზავნა“*, - ასეთი კომენტარი გააკეთა მატჩის შემდეგ ხორვატმა ჩოგბურთელმა.

დიდი ბრიტანული იმედიდან ჰენმანი დიდ იმედგაცრუებად გადაიქცა. ის კიდევ რამდენიმე წელი ცდილობდა უიმბლდონის დაპყრობას, მაგრამ ამ დროს დადგა **როჯერ ფედერერის** ეპოქა და ვერც ჰენმანი და ვერც სხვა ჩოგბურთელი შვეიცარიელს ხელს ვერ უშლიდა.

მარეის აღმასვლა იმ პერიოდს დაემთხვა, როცა ფედერერი აღარ მიიჩნეოდა წაუგებლად. შვეიცარიელთან თანაბრად თამაში ჯერ **რაფაელ ნადალმა** დაიწყო, შემდეგ **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** და ბოლოს, ენდი მარეიმ. ამ უკანასკნელმა სამჯერ წააგო უიმბლდონი ნადალთან (მათ შორის ორჯერ ნახევარფინალში), ერთხელ – ამერიკელ **ენდი როდიკთან**. 2012 წელს, ნადალი ადრე გამოეთიშა ბრძოლას და მარეის გზა გაუნთავისუფლა. ბრიტანელი ერთიმეორის მიყოლებით უგებდა მეტოქეებს, ფინალში კი პირველი სეტი მოუგო ფედერერს, მაგრამ შემდეგ საქმეები უკან წავიდა და შვეიცარიელმა მორიგი უიმბლდონი მოიგო.


ბანი ოსტინი


მარეი ფრედ პერის ქანდაკების ფონზე

წლევანდელ უიმბლდონზე მარეიმ ისევ მიიღო საჩუქარი: ნადალი პირველ წრეში გამოეთიშა ბრძოლას, ფედერერი - მეორე რაუნდში. ფინალამდე ბრიტანელს იოლი მეტოქეები ხვდებოდა, თუმცა ერთ-ერთმა - ესპანელმა **ფერნანდო ვერდასკომ** მოულოდნელად პირველი ორი სეტი მოუგო ენდის, მაგრამ მარეიმ მოახერხა გადარჩენა. გარკვეულწილად, ბრიტანელს ფინალშიც გაუმართლა იმ მხრივ, რომ ჯოკოვიჩი თავის თავს არ ჰგავდა და სამ სეტში წააგო. ასე შეძლო ენდი მარეიმ 1936 წლის შემდეგ ბრიტანეთისთვის უიმბლდონის ტიტულის დაბრუნება.

# ვინუსმა ამერიკის ღია დაგეგმა


ვინუს უილიამსი

ამერიკელი ვეტერანი ჩოგბურთელი **ვინუს უილიამსი**, რომელმაც ზურგის ტრავმის გამო გამოტოვა უიმბლდონი, „დიდი სლემის“ მეოთხე ტურნირისთვის - ამერიკის ღია პირველობისთვის აპირებს მწყობრში ჩადგომას.

უფრო მეტიც, 33 წლის ყოფილი პირველი ნომერი ერთ-ერთ იმ ტურნირზე გეგმავს დაბრუნებას, რომელიც წინ უძღვის ნიუიორკულ ჩემპიონატს. ბოლოს, უფროსი უილიამსი მაისში, როლან გაროსზე გავიდა კორტზე, როცა პირველი წრე წააგო პოლონელ **ურსულა რადვანსკასთან**.

*„თავს უკეთ ვგრძნობ და მონდომებით ვშრომობ. უნდა მოვიცადო, სანამ 100 პროცენტით არ აღვიდგენ კონდიციებს. რთულია ასეთი ტრავმით თამაში. იმედია, ამერიკის ღია პირველობამდე შევძლებ დაბრუნებას“*, - განაცხადა ამერიკელმა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ფორმულა 1

# დევიდ კულტჰარდი: ფერარი ალონსოს დაკარგავს



დევიდ კულტჰარდი

ფორმულა 1-ის ყოფილ პილოტს **დევიდ კულტჰარდს** მიაჩნია, რომ თუ „ფერარი" უახლოეს პერიოდში არ შეცვლის სიტუაციას, რომელშიც ეს გუნდი ბოლო წლებში იმყოფებდა და არ შესთავაზებს თავის პილოტს **ფერნანდო ალონსოს** საჩემპიონო ბოლიდს, პილოტი, შესაძლოა, სხვა გუნდში გადასვლაზე დაფიქრდეს.

„ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ გასულ წელს, როცა „ფერარი" უფრო უარეს მდგომარეობაში იყო, მეტად სჯეროდა ტიტულზე საკუთარი შანსების, ვიდრე ამ სეზონში. ნამდვილად ასეა, რადგან გასულ სეზონში ის ლიდერობდა ჩემპიონატში, ახლა - არა.

„სკუდერიაში" არ ნებდებიან, მაგრამ ფორმულა 1-ში ყველამ იცის, რამდენად რთულია კონკურენტებთან სხვაობის შემცირება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ებრძვი შენზე სწრაფ მანქანას.

ჩვეულებრივ, ალონსო პოზიტიურად ლაპარაკობს ჩემპიონატში თავის შანსებზე, მაგრამ მისი კომენტარი გერმანიის გრანპრის შემდეგ საგულისხმო იყო. მან „ფერარიზე" ილაპარაკა: „მათ რაღაც უნდა მოიმოქმედონ, თანაც დაუყოვნებლივ". ეს სიტყვები მაგიდაზე მუშტის დარტყმას ჰგავს.

დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ალონსომ ბოლოჯერ მოიგო ჩემპიონატი და ეს იმიტომ არ ხდება, რომ ის არ აჩვენებს საჩემპიონო დონეს. ის ყოველთვის კარგ ფორმაშია.

თუ დღევანდელი სიტუაცია კიდევ გაგრძელდება, მაშინ უნდა დავფიქრდეთ იმაზე, რამდენად დიდხანს დარჩება ალონსო „ფერარიში". წელს ის 32 წლის გახდება. მას დაახლოებით ხუთი წელი დარჩა მაღალ დონეზე გამოსასვლელად. და თუ „ფერარი" ვერ შეძლებს ძალიან მალე ყველაფრის სწორად კეთებას, ის დაფიქრდება ამ გუნდში თავის მომავალზე", - ამბობს კულტჰარდი BBC-ისთან კომენტარში.

# რა ხდება ბაზარზე?

ცნობილი ექსპერტი და კომენტატორი **ჯეიმს ალენი** საკუთარ ბლოგზე საუბრობს 2013 წლის სეზონის დასრულების შემდეგ, გუნდების შემადგენლობებში მოსალოდნელ ცვლილებებზე....

„წელს, მარკ უებერმა ადრეულად გამოაცხადა „რედ ბულიდან" წასვლის შესახებ და ამით პროცესი დაიძრა. პილოტების მენეჯერები გააქტიურდნენ, მოლაპარაკებებს აწარმოებენ გუნდებთან და ცდილობენ თავიანთი შეგირდებისთვის საუკეთესო ვარიანტების მოძებნას.

ცნობილია, რომ იმ ვაკანსიაზე, რომელიც მარკის წასვლის შემდეგ „რედ ბულში" გაჩნდება, კიმი რაიკონენი და „ტორო როსოს" ორი პილოტი - ჟანერიკ ვერნი და დანიელ რიკარდო აცხადებენ პრეტენზიას. გერმანიის გრანპრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე სებასტიან ფეტელმა კვლავ თბილად ილაპარაკა კიმიზე. შესაძლოა, საქმე იმაში იყოს, რომ მან უკვე იცის - სწორედ რაიკონენი გახდება მისი თანაგუნდელი. თუმცა თავად ფინელი და რიკარდო უქმეების მსვლელობისას აცხადებდნენ, რომ ჯერ არაფერია გადაწყვეტილი.

„ლოტუსში" ძალიან უნდოდათ ნიკო ჰიულკენბერგის ხელში ჩაგდება - მოლაპარაკებები დღესაც გრძელდება. მაგრამ, თუ რაიკონენი დარჩება „ლოტუსში", საინტერესოა, შენარჩუნდება თუ არა გუნდის მხრიდან ჰიულკენბერგის კონტრაქტის მიმართ ინტერესი. თუ ისინი გუნდში რომენ გროსჟანის დატოვებას გადაწყვეტენ. გერმანიაში რომენმა ძალიან კარგი უქმეები ჩაატარა, მაგრამ, სეზონის მსვლელობისას ქულების იმ რაოდენობის 35 პროცენტი მოაგროვა, რაც კიმის აქვს მოპოვებული. თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მას ორ რბოლაში სთხოვეს პარტნიორის წინ გაშვება.

ჰიულკენბერგი საკმაოდ სტაბილურია, ის ყოველთვის მაღალ შეფასებას იღებდა იმ გუნდებიდან, რომლებშიც ადრე გამოდიოდა, მაგრამ, ახლა, რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა „ზაუბერში" წარმოქმნილი ფინანსური პრობლემების გამო. შვეიცარიულ გუნდს ფული არ აქვს და გასულ უქმეებზე პადოკში ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, რომ თუ ნიკო წასვლას გადაწყვეტს, „ზაუბერი" მზად არის გაათავისუფლოს გერმანელი კონტრაქტისგან.

სეზონი რთულად ვითარდება ფელიპე მასასთვის, ხოლო იმის გამო, რომ კონტრაქტებზე მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია, ბევრი სვამს კითხვას - მისცემს თუ არა „ფერარი" ფელიპეს კიდევ ერთ შანსს თუ ეს სეზონი ბოლო იქნება ბრაზილიელისთვის „სკუდერიაში". „ზაუბერი" ყოველთვის მიიჩნეოდა „ფერარის" „ფილიალად", იტალიური საჯინიბო ასევე ყურადღებით აკვირდება ჰიულკენბერგის გამოსვლას, თუმცა ნიკოს არაერთხელ უთქვამს, რომ არ აპირებს ლოდინს - როდის გაჩნდება „ფერარიში" ვაკანსია.

„ლოტუსის" მხრიდან ჰიულკენბერგისადმი ინტერესი ზრდის გერმანელის შანსებს, მომავალ სეზონში კონტრაქტი გააფორმოს რომელიმე ძლიერ გუნდთან, თუ, რა თქმა უნდა, მას დარჩენილ რბოლებში ყველაფერი წესრიგში ექნება".



გაიყრება ლოტუსისა და კიმის გზები?

კრივი

# მოულოდნელი გაყრა

რუსმა სუპერმძიმეწონოსანმა **ალექსანდრ პოვეტკინმა** თავისი მენეჯერი **ვლადიმერ ხრიუნოვი** დაითხოვა. მოკრივის თქმით, „ამ თანამშრომლობის შეწყვეტის დრო იყო, რადგან ხრიუნოვი ბევრს ლაპარაკობდა და ცოტას აკეთებდა".

ვლადიმერ ხრიუნოვი ერთ-ერთი გავლენიანი ფიგურაა რუსულ პროფესიულ კრივში და მრავალი წელი თანამშრომლობდა პოვეტკინთან, მაგრამ, ბოლო დროს, მისი საქმეები უკან წავიდა. უფრო ადრე, ხრიუნოვთან თანამშრომლობის შეწყვეტის შესახებ გამოაცხადა კიდევ ერთმა ცნობილმა რუსმა მოკრივემ, **დენის ლებედევმა**, რომელიც 90.7-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში გამოდის. მან საკუთარი მენეჯერის სამსახურზე უარი მას შემდეგ თქვა, რაც 17 მაისს, მოსკოვში ნააგო პანამელ **გილერმო ჯონსთან** და WBA-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული დაკარგა.



ხრიუნოვი და პოვეტკინი

■ ■ ■

სკანდალურად ცნობილმა ბრიტანელმა მძიმეწონოსანმა **დევიდ ჰეიმ**, რომელმაც არაერთხელ გამოაცხადა კარიერის დასრულების შესახებ, ახალ ბრძოლაზე კონტრაქტს მოაწერა ხელი. ჰეის მეტოქე იქნება მისი თანამემამულე **ტაისონ ფიური**, - იტყობინება გაზეთი „სანი".

ბრძოლა, რომლის საპრიზო ფონდი 10 მილიონი ფუნტი სტერლინგი იქნება, 28 სექტემბერს, მანჩესტერში უნდა გაიმართოს. ჰეიმ თავის „ტვიტერზე" დაწერა იმის შესახებ, რომ უკვე მოაწერა ხელი ბრძოლის კონტრაქტს. მან ასევე იმედი გამოთქვა, რომ ფიურის მხრიდან ადგილი არ ექნება უკან დახევას, რადგან მას ჯერ ხელშეკრულებისთვის ხელი არ მოუწერია.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

### ჩემპიონთა ლიგა

#### I საკვ. II მატჩები

| | |
|---|---|
| სტეიმური-ლუსიტანოსი | 5:1 (2:2) |
| ტრე პენე-შირაქი | 1:0 (0:3) |

### ევროპის ლიგა

#### I საკვ. II მატჩები

| | |
|---|---|
| მიკა-რუდარი | 1:1 (0:1) |
| ტურკუ-ჟონესი | 2:1 (0:2) |
| დიფერდანჟი-ლასი | 2:1 (1:0) |

### ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| გრასჰოპერსი-ფორტუნა | 1:1 პენ. 5:6 |
| ლეხი-ნორდსილანდი | 4:1 |
| ვაალვიკი-სტანდარდი | 1:2 |
| მორავცე-ლიბერეცი | 0:3 |
| იანგ ბოიზი-ვინტერტური | 1:1 |
| მატერსბურგი-კრილია | 0:1 |
| სტ. ეტიენი-ვოლფსბურგი | 1:1 პენ. 6:5 |
| შტურმი-პსჟ | 3:1 |
| ბრეშა-ბაიერნი | 0:3 |
| ჰალეშერი-ესბერგი | 1:2 |
| ფიურტი-სელტიკი | 6:2 |
| ჰობრო-რანდერსი | 0:3 |
| პსვ-ეინდჰოვენი | 3:0 |
| რუზელარე-ვარეგემი | 1:1 |
| ანენი-პარტიკი | 1:5 |
| დინამო (ბ)-ჰართსი | 5:1 |
| მორტონი-როტერჰემი | 0:0 |
| მონროუზი-დანდი | 1:5 |
| სტენჰაუზმური-ისტ სტირლინგი | 3:1 |
| ეთლონი-პორტ ვეილი | 0:6 |
| მორეკამბი-ბარნლი | 1:0 |
| დუბლინი-მილტონი | 2:2 |
| სიონი-მარსელი | 1:1 პენ. 4:3 |

## ფინეთი

### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ოულუ-ვიიკინგიტი | 0:2 |

## ირლანდია

| | |
|---|---|
| ლიმერიკი-ბრეი | 4:4 |

## პერუ

| | |
|---|---|
| სენსიანო-სპორტი | 0:1 |

## ჩოგბურთი

### ATP. ბაშტადი

| | |
|---|---|
| ჰაიეკი-**გარსია ლოპესი** | 6:7, 1:6 |
| **შტრუფი**-სტახოვსკი | 6:3, 6:3 |
| **ვოლანდრი**-ზოპი | 6:1, 6:2 |
| კოპილი-**კავჩიჩი** | 4:6, 1:6 |
| **რამოსი**-რაისტერი | 6:3, 6:3 |
| **ტროიცკი**-სოუზა | 6:4, 6:2 |
| შვარცმანი-**დე ბაკერი** | 2:6, 4:6 |
| **ვერდასკო**-ვინსიგერა | 6:4, 7:6 |

### ATP. ნიუპორტი

| | |
|---|---|
| **სისლინგი**-ვიოლა | 6:4, 6:1 |
| **სოკი**-მატოშევიჩი | 6:2, 6:0 |
| **პოსპიშილი**-კუდლა | 1:6, 6:3, 6:3 |
| **არმიტრაჟი**-ჩიპოლა | 6:2, 6:3 |
| როჟე ვასელენი-**კარლოვიჩი** | 6:7, 4:6 |
| კუერი-**შმიჩეკი** | 4:6, 6:7 |
| **ჰიუიტი**-ებდენი | 6:4, 6:1 |
| **ჰერნიხი**-პავიჩი | 7:6, 6:3 |
| **რამი**-ბოსელი | 6:2, 6:2 |

### ATP. შტუტგარტი

| | |
|---|---|
| მუნიოს დე ლა ნავა-**დავიდენკო** | 7:6, 3:6, 4:6 |
| როსოლი-**ბელუჩი** | 4:6, 4:6 |
| **ჰანესკუ**-ტურსუნოვი | 3:6, 6:3, 7:6 |
| **მონფილსი**-მატიო | 7:6, 6:4 |
| ანდუხარი-**ლ. მაიერი** | 6:3, 6:7, 6:7 |
| **ფ. მაიერი**-ა. ბეკი | 6:4, 3:6, 6:1 |
| **ფონინი**-უორდი | 6:3, 7:6 |
| **ლანგერი**-კემი | 3:6, 6:4, 6:3 |
| **გულბისი**-გრანოლერსი | 4:6, 6:1, 6:1 |

### WTA. ბუდაპეშტი

| | |
|---|---|
| ლუკაჩი-**მარტიჩი** | 3:6, 0:6 |
| **ტატიშვილი**-იანი | 6:3, 6:4 |
| **პეერი**-კნოლი | 6:2, 6:2 |
| ჰონკოვა-**სხეპერსი** | 4:6, 1:6 |
| **ჰლავაჩკოვა**-კორნე | 6:4, 6:2 |
| **მოისბურგერი**-ვან უიტვანკი | 6:0, 6:2 |
| **კადანტუ**-მეირ ახლაიტნერი | 6:0, 6:1 |
| **კოვინიჩი**-კონტა | 6:2, 3:6, 6:2 |
| **ბაბოში**-კრუნიჩი | 6:3, 6:7, 6:3 |
| საფაროვა-**სოლოვიოვა** | 1:6, 0:6 |

### WTA. პალერმო

| | |
|---|---|
| ბირნეროვა-**ჰერცოგი** | 4:6, 1:6 |
| **ბეგუ**-**ვორაკოვა** | 5:7, 2:6 |
| კრის. პლიშკოვა-**ბ. ზახავალოვა** | 4:6, 4:6 |
| **კაბესა კანდელა**-მატეუჩი | 6:4, 6:1 |
| ბაროისი-**მედინა გარიგესი** | 4:6, 6:4, 2:6 |
| დუკე მარინო-**ლუჩიჩი** | 3:6, 3:6 |
| **ზანოპალოვა**-პენეტა | 6:2, 2:6, 6:3 |
| პერეირა-**კნაპი** | 3:6, 2:6 |
| **პფიცენმაიერი**-კარ. პლიშკოვა | 7:5, 7:5 |
| **დომინგეს ლინო**-დულგერუ | 6:1, 6:0 |
| გატო მონტიკონი-**ვინჩი** | 6:7, 3:6 |

TV პროგრამა

## 10 ივლისი. ოთხშაბათი

### GMG-ფეხბურთი

**10:00** ევროპის ლიგა. ფენერბახჩე-ლაციო.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ფრაიბურგი.
**14:00** სეზონის მიმოხილვა. ჰოლანდიის ჩემპიონატი - ფეიენოორდი.
**16:00** ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ნიუკასლი.
**18:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**18:30** იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**19:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ცვოლე.
**21:00** სეზონის მიმოხილვა. ჰოლანდიის ჩემპიონატი - ეინდჰოვენი.
**23:00** გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-ბაიერნი.
**01:00** ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-სუონსი.

### GMG-სპორტი 1

**10:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-არსენალი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ოკლაჰომა-ტორონტო.
**15:00** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ტოტენჰემი-ინტერი.
**17:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ლესტერი-ტულუზა.
**19:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ფეიენოორდი-ეინდჰოვენი.
**22:00** მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. საუკეთესო დამცველები. I ნაწილი.
**23:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ოკლაჰომა-ტორონტო.

### GMG-სპორტი 2

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ჰამბურგი. გერმანია.
**13:30** სპორტ-NEWS.
**14:00** კალათბურთი. NBA. ჩიკაგო-ბრუკლინი.
**16:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. პალერმო. იტალია.
**19:40** კალათბურთი. NBA. მილუოკი-მაიამი.
**21:40** საჩოგბურთო მიმოხილვა - მატჩპოინტი.
**20:20** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ჰამბურგი. გერმანია.

## ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 22 | 34 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ქუთაისი | 21 | 28 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ბათუმი | 23 | 26 | (მზე) |
| ფოთი | 21 | 28 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ზუგდიდი | 20 | 29 | (ხანმოკლე წვიმა) |
| გორი | 21 | 33 | (ხანმოკლე წვიმა) |
| თელავი | 21 | 32 | (ხანმოკლე წვიმა) |
| სიღნაღი | 20 | 32 | (მზე) |
| ბაკურიანი | 12 | 22 | (მზე) |
| ბორჯომი | 18 | 32 | (მზე) |
| მესტია | 12 | 28 | (მცირე წვიმა) |

## ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1276 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6553 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.4672 |
| 100 რუსული რუბლი | 4.9677 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფოტო-NEWS
# არდადეგები გრძელდება


სესარ ასპილიკუეტა ბალეარის კუნძულებზე მეგობართან ერთად


რადამელ ფალკაო და მისი არგენტინელი მეუღლე ლორელეი ტარონი


რაულ მეირელეში და მისი მეუღლე ივონ ვიანა ფალკაოს მეზობლად ისვენებენ


რონალდო ლას ვეგასში ფართიზე


სესკ ფაბრეგასი გერლფრენდ დანიელ სიმენთან ერთად იბიცაზე


დიდიე დროგბა ოჯახთან ერთად სენტ ტროპეში







დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38); მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე (577 74 89 21), გია ტუხაშვილი (555 50 05 13); მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:10. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ირაკლი თავაძე

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608